

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თეონა შავლობაშვილი

ფერთა სიმბოლიკა და მისი გამოხატვის ენობრივ-კულტურული  
თავისებურებები ინგლისურ ფრაზეოლოგიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნათია დავითიშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

გორი  
2020

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი შეისწავლის ინგლისურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფერთა სიმბოლიკას და ფერების ენობრივ-კულტურულ თავისებურებებს. სამეცნიერო ნაშრომი ემყარება ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერდისციპლინალურ ანალიზს, რომელიც შეიცავს ფერთა სახელებს. კვლევა შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი ფერებით. ჩემი ნაშრომი მიზნად ისახავს იმ შემეცნებითი, ანუ კონცეპტუალური მეტაფორული მექანიზმების იდენტიფიცირებას, რომლებიც ახსნილია უამრავი ფერთა აღნიშვნების შემცველი იდიომატური გამოთქმებით.

ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ფერის სიმბოლურ მნიშვნელობებს წინასწარ განსაზღვრავს ანგლოფონური კულტურა და ისტორიული მოვლენები, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და გამონათქვამებში გვხვდება და რჩება ერის მეხსიერებაში. ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ იდენტური, ანუ ამ ლინგვისტური ერთეულების მნიშვნელობა წარმოიქმნება, როგორც მისი უშუალო, ასევე ასოციაციური საშუალებების ერთდროული რეალიზაციით, ეს უკანასკნელი ემყარება მათი კონცეფციების უნივერსალურ პროტოტიპებს, რომელიც აღიარებულია როგორც მშობლიური.

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას და ჩამონათვალს სამეცნიერო წყაროებისა, რომელიც გამოყენებულია კვლევის დროს. პირველი თავი მიმოიხილავს ლინგვისტურ ლიტერატურაში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ინტერდისციპლინალური შესწავლის ასპექტებს, რითაც ფორმირდება კვლევის თეორიული ჩარჩო. მეორე თავი ეხება ანგლოფონურ კულტურაში ძირითადი ფერების სიმბოლურ მნიშვნელობებს. მესამე თავში კი მოცემულია კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები, რამაც უამრავი ფრაზა და იდიომატური გამოთქმა წარმოშვა. დასკვნითი ნაწილი შეიცავს ჩატარებული კვლევის თეორიულ განზოგადებებს და შედეგებს.

**T. Shavlokhvili**

The Symbolics of colors and Linguo-cultural peculiarities of its expression in  
English Phraseology

**Annotation**

The present paper deals with the study of symbolism and linguo-cultural peculiarities of colours in English phraseological units. The research paper is based on the interdisciplinary analysis of phraseological units containing names of colours. The research is restricted to the basic colours. My thesis aims to identify those cognitive, that is, conceptual metaphorical mechanisms that find their explication in lots of idiomatic expressions comprising colour denoting terms.

The analysis of the empirical material has shown that symbolic meanings of different colours are predetermined by the Anglophone culture and historic events that are stored and cherished in the nation's memory throughout centuries via lots of phraseological units and sayings. The analysis also revealed that idiomatic, that is, figurative transferred meaning of these lingual units is formed by the simultaneous realisation of both its direct and associative meanings, the latter based on the universal prototypes of their concepts as perceived by the native speakers.

The paper consists of an introduction, three chapters, conclusions and the list references. The first chapter reviews linguistic literature and aspects of interdisciplinary study of phraseological units, thus forming theoretical framework of the research. The second chapter deals with the symbolic meanings of the basic colours in Anglophone culture that is verbally embodied in idiomatic expressions. The third chapter provides conceptual metaphorical models that gave birth to lots of phrases and idiomatic expressions. The concluding part contains theoretical generalizations of the conducted research and its results.

## შინაარსი

შესავალი -----	7
თავი I. ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზოგადთეორიული საფუძვლები -----	11
§1. ფრაზეოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ლინგვისტიკაში -----	11
§2. ფრაზეოლოგია, როგორც სიტყვათა მყარი ჯგუფები ტრანსფორმირებული მნიშვნელობით -----	14
§3. ფრაზეოლოგიური ერთეულების და სიტყვათა თავისუფალი ჯგუფების დიფერენციალური მახასიათებლები -----	16
§4. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაციის პრობლემა თანამედროვე ანგლისტიკაში -----	20
4.1. ფრაზეოლოგიური ერთეულების თემატური კლასიფიკაცია -----	20
4.2. ფრაზეოლოგიური ერთეულების ეტიმოლოგიური კლასიფიკაცია -----	22
4.3. ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია მნიშვნელობის ტრანსფორმაციის ხარისხის მიხედვით -----	24
4.4. ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია მეტყველების ნაწილებად -----	28
§ 5. ფრაზეოლოგიური ერთეულების მიმართება ანდაზებთან -----	29

თავი II. ფერთა სიმბოლიკა ანგლოფონურ კულტურასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში -----	31
§1. ძირითადი ფერების და მათი აღმნიშვნელი ტერმინების თეორია და მისი ევოლუცია -----	31
§2. ფერის კონცეპტის რეპრეზენტაცია ენაში -----	34
§3. ექსტრალინგვისტური და კულტუროლოგიური ფონური ცოდნის როლი ფერთა აღმნიშვნელი იდიომების მნიშვნელობათა ფორმირებასა და გაგებაში -----	36
§4. ცალკეულ ფერთა სიმბოლიკა ინგლისურენოვან კულტურაში -----	38
4.1 შავი და თეთრი ფერების სიმბოლიკა -----	39
4.2 წითელი ფერის სიმბოლიკა -----	40
4.3 ლურჯი ფერის სიმბოლიკა -----	43
4.4 მწვანე ფერის სიმბოლიკა -----	46
4.5 ყვითელი ფერის სიმბოლიკა -----	47
4.6 რუხი ფერის სიმბოლიკა -----	48
თავი III. ფერთა აღნიშვნების შემცველ ფრაზეოლოგიზმთა კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები ინგლისურ ენაში -----	50
§1. კოგნიტური მეტაფორა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის კონცეპტუალური წყარო -----	50

§2. ძირითადი ფერების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიზმებში -----	
51	
2.1 წითელ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	51
2.2 ლურჯ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	54
2.3 თეთრ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	56
2.4 შავ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	58
2.5 მწვანე ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	59
2.6 ყვითელი ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	61
2.7 რუხ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები -----	62
§3. კონცეპტის "ფერი" შემცველი კოგნატიური მეტაფორები და ფრაზეოლოგიური ერთეულები -----	63
§4. ფერთა აღნიშვნის შემცველი ფრაზეოლოგიზმების უნივერსალური და ანგლოფონური კულტურით განპირობებული თავისებურებები -----	64
დასკვნა -----	68
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა -----	71

### შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ინგლისური ენის იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულების ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერდისციპლინურ კვლევას, რომლებიც შეიცავენ კომპონენტს „ფერი“. ფერთა სიმბოლიკა და მისი ენობრივი გამოხატულების თავისებურებების გამოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ენობრივი ერთეულების ხატოვნად მოტივირებულ ფორმასა და მასში იმპლიცირებულ კულტურულად მნიშვნელოვან ასოციაციებთან. ლინგვისტურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ფრაზეოლოგიზმები წარმოიქმნება ეროვნულ ენებში სინამდვილის ისეთი ხატოვანი და საყოველთაო აღქმის საფუძველზე, რომელიც ასახავს ენობრივი სოციუმის ყო-ფით, ემპირიულ, ისტორიულ ან სულიერ გამოცდილებას, რაც უპირობოდ არის დაკავშირებული მის კულტურულ ტრადიციებთან (Телия 1981: 13). სინამდვილის ამგვარი სახალხო, მასობრივი აღქმა რეალიზებას ჰპოვებს ერის ცნობიერებაში არსებულ კოგნიტურ მეტაფორებში და მათ კონცეპტუალურ მოდელებში, რომლებიც ვერბალურ გამოვლინებას ჰპოვებენ მრავალფეროვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში<sup>1</sup>, მათ შორის ფერთა სიმბოლური მნიშვნელობის მეტაფორულად გამომხატველ იდიომატურ გამოთქმებში.

სპეციალური ლიტერატურია განზოგადებამ გვიჩვენა, რომ ინგლისურ ენაში ფერთა აღნიშვნის კვლევები ძირითადად ლექსემების დონეზეა ჩატარებული. ყუ-

---

<sup>1</sup> Lakoff G., & Johnson M., *Metaphors We Live By*, Chicago: University of Chicago Press, 1980.

რადღებას იმსახურებს ბ. ბერლინისა და პ. კეის ნაშრომი "Basic color terms"(1969), რომელშიც განხორციელებულია მთავარი ფერების აღმნიშვნელ სიტყვათა კვლევა, მათი კლასიფიკაცია და კრიტერიუმები. ფერთა კოგნიტური ასპექტის და შესაბამისი ლექსიკური ერთეულების კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ვეჟბიკას (Wierzbicka 1990), მაკლორის (MacLaury 1997), გოდარტის(Goddart 1998), კოვეჩესის, ჟაბოს (Kovecses & Szabo 1996) და სხვათა შრომები, სადაც კიდევ უფრო გაღრმავდა და შეივსო ბერლინისა და კეის მიერ შემუშავებული ფერების კლასიფიკაცია. მათმა განზოგადებამ სტიმული მოგვცა ლექსიკის ეს პლასტი გამოგვეკვლია ფრაზეოლოგიზმების კონტექსტში ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიის გამოყენებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი **სამაგისტრო ნაშრომის მიზანია** ფერის კომპონენტის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობების წარმოქმნის კოგნიტური მექანიზმების გამოვლენა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც სინამდვილის მგრძნობელობითი აღქმის უნივერსალურ, ასევე ეთნოკულტურულ ფაქტორებთან, რომელთა ერთობლიობაც განაპირობებს ფერთა სიმბოლიკას.

კვლევის ზოგადი მიზნის შესაბამისად, ნაშრომში განხილულია და დაზუსტებული შემდეგი **კონკრეტული პრობლემები**:

- სპეციალური ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე განზოგადებულია ფრაზეოლოგიზმების ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები;
- განხილული და დაზუსტებულია ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის მექანიზმები იდიომატურობის ხარისხის მიხედვით;
- გაანალიზებულია ფრაზეოლოგიზმებში ფერთა სიმბოლიკის შექმნის კონცეპტუალური და ეტიმოლოგიურისაფუძვლები;
- გამოვლენილია „ფერის“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის კოგნიტური მოდელები;

**საკვლევი ემპირიული მასალა** მოძიებული გვაქვს შემდეგი ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან: Oxford Dictionary of English Idioms (1998), Oxford Dictionary of Current Idiomatic English in 2 volumes (1982) და Idioms Online: Your Free English Idioms Dictionary (<https://www.idioms.online/>).

ნაშრომის **თეორიულ საფუძველად** აღებული გვაქვს ვ. ვინოგრადოვის, ა. კუნინის, ჯ. ლაკოვის და მ. ჯონსონის, ბ. ბერლინისა და პ. კეის, ა. ვეუბიცკას, რ. მაკლორის, ე. მაკკორმაკის, ზ. კოვეჩეშის და პ. ჟაბოს, და სხვათა კონცეფციები. კვლევას ვახორციელებთ ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით, რაც განაპირობებს ისეთი კონკრეტული მეთოდების გამოყენებას, როგორცაა ფრაზეოლოგიური ერთეულების სალექსიკონო დეფინიციური ტექსტების ანალიზი, იდიომების აქ-ტუალური მნიშვნელობის ეტიმოლოგიური ანალიზი და კონცეპტუალური მოდე-ლირების მეთოდი.

**სამაგისტრო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა და სიახლე**, ჩვენი აზრით, განისაზღვრება როგორც მისი თემატიკით, ასევე კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით. მასში პირველად არის გაანალიზებული „ფერის“ კომპონენტის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები იმ კოგნიტური მექანიზმების გამოვლენის თვალსაზრისით, რომელთა დახმარებითაც ხდება კონცეპტების მეტაფორული გადააზრება და ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობის ფორმირება.

ნაშრომი საინტერესოა **პრაქტიკული თვალსაზრისითაც**, რამდენადაც მასში მოცემულმა ემპირიული მასალის ანალიზმა და თეორიულმა განზოგადებებმა შესაძლოა დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის სწავლებისას.

**სამაგისტრო ნაშრომი სტრუქტურულად** შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისაგან. დართული აქვს გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის და ლექსიკონების სია.

**შესავალში** ჩამოყალიბებულია კვლევის მიზნები და ამოცანები, დასახული პრობლემის აქტუალურობა, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. აქვეა განსაზღვრული კვლევის ზოგადი მეთოდოლოგია და კონკრეტული მეთოდები.

**პირველ თავში** – *ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზოგადთეორიული საფუძ-ვლები* – განხილულია ამ ერთეულების კვლევის ძირითადი მიმართულებები. განზოგადებულია როგორც მათი წარმოქმნის მექანიზმი და დიფერენციალური მახასიათებლები, ასევე მათი ტიპოლოგია თემატური და ეტიმოლოგიური პარამეტ-რებით, იდიომატურობის ხარისხის მიხედვით და მეტყველების ნაწილებთან შესა-ბამისობის პრინციპით.

**მეორე თავში** - *ფერთა სიმბოლიკა ანგლოფონურ კულტურაში და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში* - განხილულია ცალკეულ ფერთა აღნიშვნების სიმბოლიკა ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში ისტორიული ფაქტორების და ლექსიკონებში მოცემული ეტიმოლოგიის გათვალისწინებით. ხაზგასმულია ექსტრალინგვისტური ფონური ცოდნის როლი ფრაზეოლოგიზმების სწორად აღქმასა და ინტერპრე-ტაციაში.

**მესამე თავი** – *ფერთა აღნიშვნების შემცველ ფრაზეოლოგიზმთა კონცეპტუა-ლოური მეტაფორული მოდელები ინგლისურ ენაში* – მთლიანად აქვს დათმობილი იმ კოგნიტური მეტაფორული სქემების გამოვლენას, რომლებიც საფუძვლად დაედო უამრავ იდიომატურ გამოთქმას.

**დასკვნაში** მოკლედ არის შეჯამებული კვლევის შედეგები.

## თავი I

### ფრაზეოლოგიზმების კვლევის ზოგადთეორიული საფუძვლები

#### § 1. ფრაზეოლოგიის კვლევის ძირითადი მიმართულებები

##### თანამედროვე ლინგვისტიკაში

ფრაზეოლოგია, ლინგვისტიკის მრავალსაუკუნოვან სხვა დარგებთან შედარებით, გაცილებით ახალგაზრდა განშტოებად მიიჩნევა, თუმცა დღეისათვის საკმაოდ გამოცდილებაა დაგროვილი როგორც ზოგადთეორიული, ისე კერძო პრობლემების კვლევის სფეროში (Arsenteva 2014: 12). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მრავალი საკითხი რჩება საკამათო და გადაუჭრელი. მათ რიცხვში შედის ისეთი კარდინალური საკითხებიც, როგორცაა საკუთრივ ფრაზეოლოგიური ერთეულის ცნების და მისი როგორც ენობრივი ნიშნის სტატუსის განსაზღვრა; ფრაზეოლოგიის, როგორც ენის ქვესისტემის, ზოგადი მოცულობის და მახასიათებლების დადგენა; მისი გამიჯვნა თავისუფალი სიტყვათშეთანხმებისგან და სხვა.

ტერმინი „ფრაზეოლოგია“ შემოღებულ იქნა ფრანგული წარმომავლობის ცნობილი შვეიცარიელი მკვლევარის, შარლ ბალის მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში. მაგრამ პირველები, ვინც წამოჭრა საკითხი ფრაზეოლოგიაზე, როგორც ლინგვისტური კვლევის საგანზე, იყვნენ რუსი ენათმეცნიერები. აკადემიკოს ვ. ვ. ვინოგრადოვის მიერ განხორციელებულმა რუსული ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციამ ბიძგი მისცა ფართო კვლევებს სხვადასხვა ენების ფრაზეოლოგიაში (Виноградов 1977).

ინგლისური ენის ფრაზეოლოგიის შესწავლასა და ენათმეცნიერების დამოუკიდებელ დარგად წარმოჩენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალექსანდრე კუნინ-მა.

მან ყურადღება გაამახვილა ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა ასპექტ-ზე, რაც შეიძლება განზოგადებულად ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით (Куних 1980):

1. მან პირველმა განმარტა „ფრაზეოლოგიური ერთეულის“ ცნება როგორც მყარი სიტყვათა შეთანხმება სრულად ან ნაწილობრივ შეცვლილი მნიშვნელობით.
2. შეიმუშავა ფრაზეოლოგიის კვლევის რელევანტური მეთოდი, რომელიც ფრაზეოლოგიური იდენტიფიკაციის მეთოდის სახელით არის ცნობილი.
3. შეიმუშავა ფრაზეოლოგიზმების სტაბილურობის თეორია სხვადასხვა დონეზე: ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტური სტრუქტურის დონეზე, სტრუქტურის შიგნით კომპონენტური დაქვემდებარებულობის ტიპების დონეზე და მათი სემანტიკური მდგრადობის დონეზე.
4. განახორციელა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიფერენცირება იდიომატურობის ხარისხის მიხედვით;
5. განახორციელა ინგლისური ფრაზეოლოგიური ერთეულების დეტალური კლასიფიკაცია სტრუქტურული შედგენილობისა და მეტყველების ნაწილთა მიხედვით.
6. გააფართოვა და განავრცო ფრაზეოლოგიური კვლევები და შედეგად მიღებული თეორიული განზოგადებები.

უფრო მეტიც, ალექსანდრე კუნიჩმა პირველმა შეადგინა და გამოსცა ინგლისურ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, რომელიც შეიცავს დაახლოებით 20 000 ერთეულს თავისი მაგალითებით, რომლებიც აღებულია მხატვრული ტექსტებიდან და საგაზეთო სტატიებიდან.

ცნობილმა ინგლისელმა ლექსიკოგრაფმა ენტონი ფ. ქოუვიმ ასეთი მაღალი შეფასება მისცა კუნიჩის და მისი მიმდევრების მიერ შექმნილი მოსკოვის ფრაზეოლოგიის სკოლის მიერ გაწეულ შრომას:

„ფრაზეოლოგიის აღიარება ენათმეცნიერების აკადემიურ დისციპლინად, ნათლად მეტყველებს აღმოსავლეთ ევროპის მკვლევართა დაინტერესებაზე ამ პრობლემით. ამაზე მიუთითებს არა მხოლოდ მათი შეუპოვარი კვლევითი აქტიურობა და მასშტაბურობა, არამედ მათ მიერ გამოცემული სპეციალიზებული ლექსიკონებიც, რომლებშიც ფრაზეოლოგიზმების კვლევის ესა თუ ის თეორიული პერსპექტივა

აისახება. ფრაზეოლოგიის რუსულ „კლასიკურ“ თეორიას მისი ახალი გავრცობილი სახით და მოდიფიკაციებით უდიდესი გავლენა აქვს მიმდინარე ფრაზეო-ლოგიურ კვლევებზე მთელ მსოფლიოში, ხოლო მის გამოცდილებას ლექსიკონების შედგენასა და დიზაინში დღემდე არ ყავს კონკურენტი (Cowie 1998: 2).“

მე-20 საუკუნის დასასრულს, 1999 წელს, სხვადასხვა ქვეყნის დასავლეთ-ევროპელმა ლინგვისტებმა დააფუძნეს ფრაზეოლოგიის ევროპული საზოგადოება – „ევროფრაზი“ ("Europhras"), რომელიც ხელს უწყობს და კოორდინირებას უკეთებს კვლევებს ფრაზეოლოგიაში. ეს საზოგადოება სისტემატურად აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა ასპექტების განსახილველად, რითაც ხელს უწყობს არა მარტო მათ უკეთესად გაგებას, არამედ სტიმულს აძლევს ამ სფეროში მომუშავე მკვლევარებს შემოქმედებითი თანამშრომლობის დასამყარებლად. მათი მრავალმხრივი მუშაობა აისახება „ევროფრაზის“ მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციების პროგრამებში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში (გრენადა – 2010; ბაზელი – 2011; მერიბორი – 2012; ყაზანი – 2013; პარიზი – 2014; მალაგა – 2015; ტრირი – 2016; ლონდონი 2017, ბილისტოკი 2018 ).

თანამედროვე ფრაზეოლოგიური კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის შეპირისპირებითი კვლევების განვითარება, რაც, ალბათ, განპირობებულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არსებული ორენოვნებით, რომელიც შექმნილია ინგლისური ენის, როგორც ლინგვაფრანკას (English as a lingua franca), ანუ საერთაშორისო ენის როლით გლობალიზაციის კონტექსტში. უამრავი ნაშრომი მიძღვნილი შეპირისპირებითი კვლევებისადმი გერმანიკულ, რომანულ, სლავურ და სხვა ენათა ოჯახების მასალაზე. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია შეპირისპირებითი კვლევები ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული, უკრაინული, ქართული და სხვა ენების მასალაზე. როგორც წესი, მკვლევარები საანალიზოდ ირჩევენ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ორი ან სამი ენიდან. მაგრამ არის ზოგიერთი ნაშრომი, რომლებშიც ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებითი კვლევა განხორციელებულია ოთხი-ხუთი ენის მასალაზე (Halynska 2012, Nefedova &

Polyakov 2014, Pamies and Craig 2014, etc.).<sup>2</sup>

არანაკლებ აქტუალურია სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიის სემანტიკური, კოგ-ნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტების კვლევა. დიდი ყურადღება დაეთმო ფრაზეოლოგიურ ერთეულების სხვადასხვა თემატური ჯგუფების ანალიზს, რომლებშიც აქცენტი კეთდება ანთროპოცენტრისტულ თემატიკაზე – პიროვნების, მისი გარეგნობის, ფიზიკური, მორალური და ემოციური მახასიათებლების, ქცევის მანერების და ა.შ. აღწერაზე. ბევრი კვლევა ორიენტირებულია ფრაზეოლოგიზმებზე დაყრდნობით სხვადასხვა ერის სოციალური, კულტურული, ეთნოფსიქოლოგიური და მორალური ღირებულებების გამოვლენასა და განზოგადებაზე მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშანთვისებების დადგენის მიზნით. ამაზე მეტყველებს როგორც მრავალრიცხოვანი ნაშრომები, ასევე „ევროფრაზის“ მიერ კოორდინირებული საერ-თაშორისო კონფერენციის – „Phraseology in Multilingual Society“ 2013 -ის მასალები (Arsenteva 2014).

## **§ 2. ფრაზეოლოგია, როგორც სიტყვათა მყარი ჯგუფები ტრანსფორმირებული მნიშვნელობით**

ფრაზეოლოგია შეისწავლის სტაბილური სტრუქტურის და ტრანსფორმირებული (შეცვლილი) მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ჯგუფებს, რომლებშიც სამყაროს მეტაფორული აღქმა აისახება. ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანუ იდიომები, რო-გორც მას დასავლეთის უმეტესი მკვლევარი უწოდებს, წარმოადგენს ენის ლექსიკური მარაგის ფერადოვან და გამომხატველობით ნაწილს. ისინი ასახავენ ამა თუ იმ ეთნოკულტურის წესჩვეულებებს, ტრადიციებს, ცრურწმენებს, წარსული ისტორიის მოგონებებს, ნაწყვეტებს ხალხური სიმღერებიდან და ზღაპრებიდან. მაგალითად: “a dark horse”; “a bull in a china”; “a white elephant”; “the green-eyed monster”; “to let the cat out of the bag”; “to bark up the wrong tree”; “to take the bull by the horns”, etc. ზოგჯერ, სასაცილო ცხოველების და უცნაური ადამიანების ეს გალერეა წააგავს მხიარულ და ხმაურიან

---

<sup>2</sup> ამ ნაშრომების გაცნობა შესაძლებელია ლინკებზე:  
<http://docplayer.net/22425090-Phraseology-in-multilingual-society.html> ;  
<http://www.e-bookdownload.net/search/phraseology-in-multilingual-society>

კოსტიუმირებულ კარნავალს და სამწუხაროა, როდესაც ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ იმით ინტერესდება, ამ იდიომებში ბირთვული წევრი ზმნით არის გამოხატული თუ არსებითი სახელით. “A dark horse” – რეალურად არა ცხენი, არამედ ადამიანია, რომლის შესახებაც დანამდვილებით არავინ იცის რაიმე, მათ შორის არც ის, თუ რას შეიძლება ველოდეთ მისგან. იდიომატური გამოთქმა – “a bull in a china” – მიუთითებს მოუქნელ ადამიანზე. “A white elephant” – სპილო კი არა, ძვირფასი საგანია, რომელიც მფლობელისგან დიდ ხარჯებს და ძალისხმევას მოითხოვს. “The green-eyed monster” – ეჭვიანობაა, რომლის ხატიც შექსპირის „ოტელო“-დან არის აღებული (ეს არის იაგოს სიტყვები მე-3 მოქმედების მე-3 სცენიდან). “To let the cat out of the bag” – ნიშნავს საიდუმლოს გამჟღავნებას და არაფერი აქვს საერთო კატასთან, რადგან იგი ნიშნავს – „to let some secret become known“. იდიომას – “To bark up the wrong tree” (Am.) – ასევე არაფერი აქვს საერთო სულელ ძაღლთან, რომელიც ხის ქვეშ ზის და მას უყეფს. მისი მნიშვნელობაა: “to follow a false scent”, “to look for somebody or something in a wrong place” („მცდარ კვალზე დადგომას“, „ეძებო ვიღაც ან რაღაც არასწორ ადგილას.“). ეს იდიომა ხშირად გამოიყენება დეტექტიურ ტექსტებში. მაგალითად: “The police are barking up the wrong tree as usual” („პოლიციამ ეჭვი მიიტანა ადამიანზე, რომელსაც დანაშაულთან შეხებაც კი არ აქვს.“).

ფრაზეოლოგია, სინონიმებთან და ანტონიმებთან ერთად, წარმოადგენს ლექსიკის გამომხატველობით რესურსს. კოლინზი წიგნში „ინგლისური იდიომები“ აღნიშნავს: „სტანდარტულ სასაუბრო და წერილობით ინგლისურში იდიომა არის მზა და მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც, სიფრთხილით გამოყენებისას, ალამაზებს და ამდიდრებს ენას (Collins, 1972).“ ციტირებულ ტექსტში „სიფრთხილით გამოყენება“ საყურადღებო მინიშნებაა, რადგან იდიომებით გადატვირთული მეტყველება კარგავს ბუნებრიობას და ავთენტურობას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ იდიომები არის მზა სამეტყველო ერთეულები და გამუდმებულმა გამეორებამ შეიძლება მათ ფერადოვნება დაუკარგოს და ეს ხატოვანი ერთეულები გადააქციოს გაცვეთილ კლიშეებად, რომლებიც ვერ „გაალამაზებენ“ და „გაამდიდრებენ ენას“. მეორე მხრივ, იდიომატური გამოთქმების გარეშე მეტყველება კარგავს ხატოვანებას, ექსპრესიულ და ემოციურ გამომხატველობას.

თანამედროვე ლინგვისტიკაში გარკვეულ დაბნეულობას ბადებს ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან და იდიომებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. არსებობს სხვა ტერმინებიც, რომლებიც აღნიშნავენ იმავე ლინგვისტურ ფენომენს: მყარი გამოთქმები (set-expressions), მყარი ფრაზები (set-phrases), ფრაზები (phrases), ფიქსირებული სიტყვათა ჯგუფები (fixed word-groups), კოლოკაციები (collocations) და სხვა. ეს ტერმინოლოგიური სხვადასხვაობა ასახავს იმ კრიტერიუმების ნაკლებობას, რომლითაც ფრაზეოლოგიური ერთეულები განსხვავდებიან სიტყვათა „თავისუფალი“ ჯგუფებისგან. თავისუფალ სიტყვა-ჯგუფების ე.წ. „თავისუფლება“ ფარდობითი და პირობითია – არაფერია სრულად თავისუფალი მეტყველებაში, რომელიც იმართება და რეგულირდება, ერთი მხრივ, ლოგიკის და საღი აზრის მოთხოვნებით, მეორე მხრივ კი – გრამატიკის და სიტყვათა კომბინატორიკის ნორმებით. შეიძლება ვთქვათ „შავთვალა გოგონა“ (*the black-eyed girl*), მაგრამ არა „შავთვალა მაგიდა“ (*a black-eyed table*). რაც შეეხება "სიტყვათა თავისუფალ ჯგუფებს", მათში ტერმინი "თავისუფლება" გულისხმობს არა სიტყვათა თავისუფალ გამოყენებას, არამედ იმას, რომ ყოველ ახალ კონტექსტში გამოყენებისას ისინი ხელახლა აიგებიან, მაშინ როდესაც იდიომები გამოიყენება მზა სახით – უცვლელად.

### **§ 3. ფრაზეოლოგიური ერთეულების და სიტყვათა თავისუფალი ჯგუფების დიფერენციალური მახასიათებლები**

ფრაზეოლოგიური ერთეულების გამიჯვნას სიტყვათა თავისუფალი ჯგუფებისგან ართულებს დიდი რაოდენობის მომიჯნავე შემთხვევები, ე.წ. ნახევრად ფიქსირებული ან ნახევრად თავისუფალ სიტყვათა ჯგუფები, რომლებსაც ამავდროულად მოიხსენიებენ როგორც არაფრაზეოლოგიურ სიტყვათა ჯგუფებს. ისინი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს წააგვანან სტრუქტურული სტაბილურობით, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ მოკლებულნი არიან სემანტიკურ მთლიანობას (ანუ, განუყოფლობას) და მეტაფორულობას ანუ მნიშვნელობას ტრანსფორმირება-გადატანას („to go to school”, “to go by bus”, “to commit suicide”, etc.).

არსებობს ორი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც ფრაზეოლოგიურ ერთეულებს განასხვავებს თავისუფალი სიტყვათა ჯგუფისგან – სემანტიკური და სტრუქტურული.

სემანტიკურად ფრაზეოლოგიური ერთეულები ხასიათდებიან ტრანსფორმირებული ანუ მეტაფორიზებული მნიშვნელობით და მისი განუყოფელი მთლიანობით. ტრანსფორმირებული მნიშვნელობის თვალსაჩინოების მიზნით განვიხილოთ ორი მაგალითი:

1. *“He was cooking an omelette when the fat hit the fire, and he could hardly put it out”.*
2. *“Things were looking bad in the stock market, then the fat hit the fire and I lost everything”.*

ეს ორი წინადადება შეიცავს ფრაზას – the fat hit the fire, რომელიც ერთ შემთხვევაში არის თავისუფალ სიტყვათა ჯგუფი, სადაც თითოეული კომპონენტი გამოიყენება მისი პირდაპირი, დამოუკიდებელი მნიშვნელობით "ცხიმი დაეცა ცეცხლს". მეორე წინადადებაში კი იგივე სიტყვათა ჯგუფი წარმოადგენს მზა ფრაზეოლოგიურ ერთეულს, იდიომატურ გამოთქმას მეტაფორიზებული მნიშვნელობით – "სიტუაციის გაუარესება", რომელსაც არაფერი აქვს საერთო მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობასთან. ამასთან, სემანტიკური ცვლილება არ გულისხმობს ფრაზეოლოგიური ერთეულის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობის უბრალო ცვლილებას – არამედ, კომპონენტების მნიშვნელობები ერთმანეთს ერწყმის ახალი მნიშვნელობის შესაქმნელად.

ფრაზეოლოგიური ერთეულები ასევე ხასიათდებიან სემანტიკური მთლიანობით ანუ განუყოფლობით. ტრადიციულად, ფრაზეოლოგიზმები განისაზღვრება როგორც სიტყვათა ფიქსირებული ჯგუფები, რომლებიც ერთ ცნებას გამოხატავენ, მაშინ როდესაც სიტყვათა თავისუფალ ჯგუფებში თითოეულ კომპონენტს თავისი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობის განუყოფლობა არის ის მახასიათებელი, რომლი-თაც ფრაზეოლოგიური ერთეული ემსგავსება სატყვას, რამდენადაც ორივე – სიტყვაც და ფრაზეოლოგიური ერთეულიც გამოხატავს სემანტიკურ ერთიანობამთლიანობას.

ფრაზეოლოგიური ერთეულების და თავისუფალ სიტყვათა ჯგუფების განმასხვავებელი მეორე ძირითადი კრიტერიუმია მათი სტრუქტურული ფიქსირებულობა ანუ უცვლელობა, რომელიც წარმოადგენს ამ ერთეულების აუცილებელ თვისებას.

ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურული ფიქსირებულობა გამოხატულებას ჰპოვებს მთელ რიგ შეზღუდვებში:

ა) პირველი გახლავთ შეზღუდვა სტრუქტურის შიგნით კომპონენტების ჩანაცვლებაზე. როგორც წესი, ფრაზეოლოგიურ ერთეულებში კომპონენტების ჩანაცვლება იწვევს აზრის დამახინჯებას ან მის საერთოდ დაკარგვას, მაშინ როდესაც თავისუფალ სიტყვათა ჯგუფებში ამგვარი ჩანაცვლება არ ქმნის რაიმე საფრთხეს და არ იწვევს სერიოზულ სემანტიკურ ცვლილებებს. მაგალითად, იდიომატური გამოთქმა “to give somebody a cold shoulder” ნიშნავს „ცივად მოეპყრო ვინმეს, იგნორირება გაუკეთო მას“, მაგრამ თუ მასში a cold shoulder -ს ჩავანაცვლებთ ფრაზით a warm shoulder ან a cold elbow, ის უკვე უაზრო ხდება.

ბ) მეორე არის შეზღუდვა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურაში დამატებითი კომპონენტების შეტანაზე. ასეთი ცვლილებები თავისუფალ სიტყვათა ჯგუფებში შეიძლება განხორციელდეს გამონათქვამის მნიშვნელობაზე გავლენის მოხდენის გარეშე, როგორც ეს ამ მაგალითშია მოცემული – „*This ship is carrying a large cargo of coal to the port of Liverpool*” (ამ გემს ქვანახშირის დიდი ტვირთი მიაქვს ლივერპულში). მაგრამ, ფრაზეოლოგიურ ერთეულში – “to carry coals to Newcastle” (*do something unneeded, pointless and superfluous*) – დაუშვებელია რაიმე დამატებითი კომპონენტის შემოტანა, რამდენადაც ეს არის მზა ფრაზა ფიქსირებული სტრუქტურით და გადატანითი მნიშვნელობით, რომელიც ყველა კონტექსტში ერთ მნიშვნელობას ინარჩუნებს – “გააკეთო ან წაიღო რაღაც იმ ადგილას, სადაც ის უკვე უხვად მოიპოვება და აღარ არის საჭირო.”

გ) მესამე სტრუქტურული შეზღუდვა გულისხმობს ფრაზეოლოგიური ერთეულების გრამატიკულ უცვლელობას. ინგლისური ენის შემსწავლელელები ხშირად უშვებენ შეცდომას ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში მრავლობითი რიცხვის ფორმების გამოყენებისას. მაგალითად – “from head to foot”, ან “to go by bus” – როდესაც ისინი მხოლობითის ნაცვლად მრავლობითს გამოიყენებენ – *from head to feet, to go by buses*.

მხატვრულ ლიტერატურაში შესაძლოა შევხვდეთ იდიომატური გამოთქმების ვარიანტებს, რომლებსაც დამატებითი სტილისტური დანიშნულება აქვთ. მაგალითად, უილიამ თეკერეი რომანში *Vanity Fair* („ამაობის ბაზარი“) ირონიულად გამოიყენებს

იდიომას – “to build a castle in the air” („ოცნების კოშკების აგება“), როდესაც აღწერს, როგორ აგებდა რებეკა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ოცნების კოშკს, რომლის დიასახლისიც თავად უნდა ყოფილიყო – “*While dressing for dinner, Rebecca built for herself a most significant castle in the air of which she was the mistress*”. ზეპირმეტყველებაში კი ფრაზეოლოგიზმები უმეტესწილად ინარჩუნებენ საკუთარ ტრადიციულ სტრუქტურას და ეწინააღმდეგებიან დამატებითი კომპონენტების შემოტანას, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, “one can build a castle in the air”, შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითი ფორმით – castles in the air; სამარცხვინო და საშიში ოჯახური საიდუმლო შეიძლება აღვწეროთ როგორც – “a skeleton in the cupboard”, თუმცა ხშირად გვხვდება მისი მრავლობითი ფორმის ვარიანტი – “*I am sure they have skeletons in every cupboard!*” ოჯახის სამარცხვინო წევრზე შეიძლება ვთქვათ – “*a black sheep*”, მაგრამ ზოგჯერ ვაფასებთ როგორც “*the blackest sheep of the family*”.

ფრაზეოლოგიური ერთეულების და თავისუფალ სიტყვათა ჯგუფების მთავარი დიფერენციალური მახასიათებლები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი სახით:

1. ფრაზეოლოგიური ერთეული თავისუფალი სიტყვათშენაერთისგან განსხვავებით ხასიათდება ლექსიკური შედგენილობის და მათი არანაირი ფიქსირებულიობით, თუმცა ამ მდგრადობის ხარისხი სხვადასხვა ფრაზეოლოგიზმში შეიძლება არ იყოს ერთნაირი.

2. თავისუფალი შენაერთი არის სინტაქსური ერთეული, რომელშიც ძირითად სიტყვებს მეტყველების დამოუკიდებელი ნაწილების ფუნქციები აქვს. ფრაზეოლოგიზმებში შემავალი სიტყვები კი დამოუკიდებელი არაა. ისინი წარმოადგენენ მყარ გამოთქმებს, რომლებშიც დაუშვებელია სიტყვების ან მათი წყობის შეცვლა.

3. თავისუფალ შენაერთებს ქმნიან თვით მოლაპარაკებები, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს კი მოლაპარაკებები იყენებენ მზა ფორმით, ცვლილებების გარეშე.

4. ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობა შეიძლება სავსებით განსხვავდებოდეს მისი კომპონენტების მნიშვნელობებისგან, და, ამიტომ, წინადადების წევრის ფუნქცია აქვს მთელ ერთეულს და არა ცალკეულ სიტყვებს. თავისუფალ შენაერთში კი თითოეულ სრულმნიშვნელოვან სიტყვას შეუძლია დამოუკიდებლად ჰქონდეს სინტაქსური ფუნქცია.

5. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს გააჩნიათ განსაკუთრებული სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მისთვის, როგორც ენის სპეციფიკური დონის ერთეულისათვის, რომელსაც შეუღედური ადგილი უკავია ენობრივ ნიშანთა იერარქიაში სიტყვასა და წინადადებას შორის.

ამ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა წარმოაჩენს ფრაზეოლოგიზმების როგორც სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებებს, ასევე მათი მდგრადობის სპეციფიკას.

#### **§4. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კლასიფიკაციის პრობლემა**

##### **თანამედროვე ანგლისტიკაში**

არსებობს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გნსხვავებული კლასიფიკაციები, რომლებიც სხვადასხვა პრინციპებზეა დაფუძნებული. დღესდღეობით, ლინგვისტურ ლიტერატურაში საყოველთაო აღიარება მოიპოვა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიფერენცირებამ თემატური და ეტიმოლოგიური პარამეტრების, მნიშვნელობის ტრანსფორმირების ხარისხის და წინადადების სტრუქტურაში მათი როლის მიხედვით. გთავაზობთ ამ კლასიფიკაციების მოკლე მიმოხილვას.

##### **4.1. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თემატური კლასიფიკაცია**

ფრაზეოლოგიური ერთეულების თემატური კლასიფიკაცია არის ტრადიციული, უძველესი კლასიფიკაცია, რომელიც დაფუძნებულია მათ დომინანტურ ლექსიკურ შემადგენლებზე. ეს მიდგომა ფართოდ გამოიყენება როგორც იდიომების ანგლო-ამერიკულ სახელმძღვანელოებში, ასევე ფრაზეოლოგიისადმი მიძღვნილ წიგნებში. ამ პრინციპით, იდიომები კლასიფიცირებულია ადამიანის საქმიანობის კონკრეტული სფეროს, ბუნებრივი მოვლენების, სხვადასხვა მორალურ-ეთიკური ღირებულებების და ა.შ. მიხედვით. ფრაზეოლოგიზმების თემატური კლასიფიკაცია უდავოდ მნიშვნელოვანია და ღირებული, მაგრამ ის არ ითვალისწინებს მათ ლინგვისტურ მახასიათებლებს. ინგლისელი მკვლევარი ლ. სმითი გთავაზობს მეზღვაურების, მეთევზეების, ჯარისკაცების, მონადირეების და სხვათა მიერ გამოყენებული იდიომების

კლასიფიკაციას, რომელიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის ამსახველ რეალი-ებთან, მოვლენებთან და პირობებთან (Smith 1925). მის კლასიფიკაციაში გვხვდება ასევე იდიომატური გამოთქმები, რომლებიც თემატურად არის დაჯგუფებული ადა-მიანის სხეულის ნაწილების, ცხოველებისა და ფრინველების, სოფლის მეურნეობის და კულინარიის, სპორტის, ხელოვნების და ადამიანის საქმიანობის სხვა სფეროების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ასეთი ჯგუფი:

#### **სხეულის ნაწილები ან ორგანოები:**

ყველაზე მრავალრიცხოვანია ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ფიგურირებს ადამიანის სხეულის ნაწილების ან ორგანოების აღმნიშვნელი სახელები. მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი ხატოვნად ასახავენ ადამიანის სხვადასხვა თვისებებს, განწყობას და მათ ყოველდღიურ ყოფას.

- თუ რაღაც თვალსაჩინოდ ახლოსაა თქვენთან, მაგრამ ვერ ხედავთ, შეიძლება გითხრან – “It is right under your nose.”
- თუ საჭიროა აჩქარება, ვინმემ შესაძლოა გითხრათ – “to shake a leg.”
- თუ ვინმეს უნდა რომ გაგაჩუმოთ, შესაძლოა გითხრათ – “to zip your lip.”
- თუ ვინმეს დახმარება სჭირდება, თქვენ შეგიძლიათ – „to give them a hand.”
- თუ ვინმე ბევრს ლაყობს ან ლაპარაკობს – “They have a big mouse.”
- თუ რაღაც ან ვინმე გაღიზიანებთ – “They get on your nerves.”
- თუ რაღაც გაწუხებთ და გინდათ ვინმეს შესჩივლოთ, თქვენ მოგიხდებათ გული გადაუშალოთ მას – “to get it off your chest.”
- თუ ვერ იხსენებთ სიტყვას, რომელიც ენის წვერზე გადგათ და იცით, შეგიძლიათ თქვათ – “The word is on the tip of your tongue.”
- თუ ვინმეს უნდა, რაღაცაზე დაფიქრდეთ, გეტყვიან – “to use your head.”

#### **ცხოველები და მწერები:**

- თუ ვინმე ტირის არაგულწრფელი ცრემლებით – “they are crying crocodile tears.”
- თუ საიდუმლოს ან სიურპრიზს გასცემთ – “you let the cat out of the bag.”
- თუ სიმამაცის გამოჩენა გსურთ, თქვენ მოგიწევთ – “take the bull by the horns.”

- თუ დროის დაზოგვის მიზნით ორი საქმის ერთდროულად კეთება გსურთ, შეგიძლიათ – “you can kill two birds with one stone.”
- თუ ვინმეს რამის ეშინია, მას შეიძლება უწოდონ – “a scared cat.”
- თუ ვინმე ვერ ისვენებს და ცქმუტავს, შეგიძლიათ თქვათ – “the person has ants in his pants.”
- თუ ძალიან გშიათ, შეიძლება თქვათ – “you are so hungry you could eat a horse.”
- თუ კოკისპირულად წვიმს, შეგიძლიათ თქვათ – “it’s raining cats and dogs.”
- თუ ვინმე უკვე აღარ არის ახალგაზრდა, შეგიძლიათ თქვათ – “they have a frog in their throat.”
- თუ არ გსურთ გაამჟღავნოთ, საიდან შეიტყვე ინფორმაცია, შეგიძლიათ თქვათ – “a little bird told you.”

#### ფერები:

- თუ შეცბუნდით ან გაუხერხულდით, თქვენ შესაძლოა – “Turn as red as beet.”
- თუ ვინმე ნამდვილად შეშინებულია, ის – “He/she looks as white as ghost.”
- თუ გსურთ ვინმეს ძალიან კარგად მოეპყროთ, მზად ხართ ფიანდაზათ დაეფინოთ – “to roll out the red carpet. “
- თუ უწყინარ ტყუილს ამბობთ, თქვენ – “You are telling a white lie.”
- თუ ვინმეს მოსწონს და მხარს გიჭერთ იმაში, რის გაკეთებასაც აპირებთ – “They give you the green light.”
- თუ რაღაცა ძალიან იშვიათად ხშირად, ის ხდება – “Once in a blue moon.”
- თუ ნაღვლიანი ხართ – “You are feeling blue.”
- თუ გეხერხებათ მცენარეების მოვლა და გაზრდა – “You have a green thumb.”

## 4.2. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეტიმოლოგიური

### კლასიფიკაცია

ეტიმოლოგიური კლასიფიკაცია ფრაზეოლოგიურ ერთეულებს აერთიანებს მა-თი წარმოშობის წყაროს მიხედვით. თვალსაჩინოების მიზნით, გთავაზობთ ზღვასთან და ზღვასწინაობასთან დაკავშირებულ გამოთქმებს, რომლებმაც დროთა განმავლობაში განიცადეს თავისი პირდაპირი მნიშვნელობის ტრანსფორმირება იმდენად, რომ ფრა-

ზეოლოგიურ ერთეულებად გადაიქცნენ ფიქსირებული გადატანითი მნიშვნელობით. როგორც კოლინზი აღნიშნავს, იდიომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობა ეფუძნება მეტაფორას, რომლის ეტიმოლოგიური წყაროა მათი პირდაპირი მნიშვნელობით შექმნილი რეალობის სტერეოტიპური ხატი. მაგალითად:

**“To be all at sea”** = არ გქონდეს რაიმის გაგების უნარი; საგონებელში ან გაუგებრობაში ყოფნა (“*How can I be a judge in a situation in which I’m all at sea?*”). ამ ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა ეფუძნება ღია ზღვაში ტალღებთან მარტო დარჩენილი ნავის ხატს, რომლის მგზავრებიც დაბნეულები და სასოწარკვეთილნი არიან, რადგან არ იციან, სად არიან და რა ბედი ელით.

**“To be in the same boat with somebody”** = იყო სხვებთან ერთად რთულ და საშიშ სიტუაციაში(e.g.: “*I don’t like you much, but seeing that we are in the same boat, I’ll back you all I can.*”). ამ ფრაზეოლოგიური გამოთქმის ეტიმოლოგიური წყაროა ჩასაძირად განწირული გემიდან მაშველ ნავში გადამ-სხდარი გადარჩენილი მგზავრების ხატი, რომლებიც ერთ ბედში არიან.

**“To sail under false colours”** = თავი მოაჩვენო სხვა ადამიანად, ზოგჯერ მეგობრად, როდესაც სინადვილეში მტრული ზრახვები გაქვს (e.g.: “*Lewis was sailing under false colours – he never told her he was a journalist.*”). ამ ფრაზეოლოგიზმის მეტაფორიზაციის ეტიმოლოგიური წყარო მტრის გემის ხატია, რომელიც თავის მსხვერპლს უახლოვდება ანძაზე მიმაგრებული სხვა, მეგობრული ქვეყნის დროშით.

**“To show one’s colours”** = გამოაჩინო ნამდვილი სახე ან ზრახვები (e.g.: “*Whose side are you on, John? Come on. Show your colors.*”). მეტაფორული მინიშნება ისევ გემია, რომელიც ამჯერად საკუთარი სახელმწიფოს დროშით დაცურავს.

**“To strike one’s colours”** = დანებდე, აღიარო დამარცხება. (For instance: “*After hours of thinking, John had to strike his colors.*”). ეტიმოლოგიური მეტაფორა გემის ხატია, რომელიც დანებების ნიშნად საკუთარ დროშას უშვებს.

**“To weather (to ride out) the storm”** = უვნებლად გაუძლო რთულ პერიოდს (“Cf. *When smaller companies were going bankrupt, big companies with wider interests*”).

*managed to ride out the storm.*”). ეტიმოლოგიური მეტაფორული კვლავ გემის ხატია, რომელმაც ქარიშხალს დაზიანების გარეშე დააღწია თავი.

“**To sink or swim**” = გამარჯვება ან სიკვდილი; მოხდეს, რაც მოსახდენია (For instance: “*After I've studied and learned all I can, I have to take the test and sink or swim.*”). ეს ფრაზეოლოგიზმიც მეტაფორულად წყალში ჩავარდნილ კაცზე მიანიშნებს, რომელიც ხელს თუ არ მოუსვამს, დაიხრჩობა.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ფრაზეოლოგიური ერთეულები აცოცხლებენ ასოციაციებს საზღვაო თავგადასავლების შორეულ წარსულთან, რომელიც დაკავშირებულია მეკობრეების ისტორიებთან, საზღვაო ბრძოლებთან, ახალი მიწების დიდ აღმოჩენებთან და სხვ. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა შენარჩუნებული ამ იდიომატურ გამოთქმებში სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობებით შექმნილი სტერეოტიპური ხატი იმ რეალობის, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების გამომხატველობითი პოტენციალი სწორედ მათში ერთდროულად რეალიზებული ორი ხატის ურთიერთქმედების შედეგად შექმნილი მნიშვნელობით არის განპირობებული. მაგალითად, იდიომატური გამოთქმა – „to weather / ride out the storm“ – ერთდროულად ორ ხატს ბადებს: ერთია გემის ხატი, რომელმაც მშვიდობით დააღწია თავი ქარიშხალს, ხოლო მეორე – ადამიანის, რომელმაც დაძლია და გადალახა სირთულეები და პრობლემები.

#### 4.3. ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაცია მნიშვნელობის

##### ტრანსფორმაციის ხარისხის მიხედვით

ფრაზეოლოგიური ერთეულების ამგვარი კლასიფიკაცია ცნობილია ვინოგრადოვის კლასიფიკაციის სახელწოდებით (Виноградов 1977). ის დაფუძნებულია ფრაზეოლოგიური ერთეულის იდიომატურობის ხარისხზე. რაც უფრო სცილდება მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა მათ პირველად ლექსიკურ მნიშვნელობას, მით უფრო მაღალია ფრაზეოლოგიზმის იდიომატურობის ხარისხი.

ტერმინი „იდიომა“ მკვლევარებს სხვადასხვანაირად ესმით. ზოგი იდიომას უწოდებს ენაში არსებულ ყოველგვარ სპეციალურ გამოთქმას. უმეტესობის აზრით კი,

იდიომა ეწოდება ისეთ სიტყვათშეერთებას, რომლის შემადგენელ ნაწილებად დაშლა არ შეიძლება და რომლის საერთო აზრი განსხვავდება მასში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობებისგან. იდიომების დიდ ნაწილში გამქრალია მისი წარმოშობის საფუძველი, რის გამოც ისინი მყარ შესიტყვებებს წარმოადგენენ. იდიომები წარმოადგენენ ენობრივ ნიშნებს, რომლებიც ეთნოკულტურის წიაღში შეიქმნა და მის საკუთრებას წარმოადგენს. იდიომების საფუძველს იდიომატურობა წარმოადგენს, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნთან და მას მხოლოდ ასოციაციურ კავშირებზე დაფუძნებული ხატის საშუალებით უკავშირდება.

ვინოგრადოვმა საფუძვლიანად შეისწავლა რუსული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულები სემანტიკური მთლიანობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც შექმნა ფრაზეოლოგიზმების სამწევრა კლასიფიკაცია, რომელიც დღესაც პოპულარულია ლინგვისტურ კვლევებში. ესენია: ფრაზეოლოგიური შენაერთები, ფრაზეოლოგიური მთლიანობები და ფრაზეოლოგიური შენაზარდები.

1) **ფრაზეოლოგიური შენაერთი (phraseological combination)** წარმოადგენს სიტყვათა ჯგუფს ნაწილობრივ შეცვლილი მნიშვნელობით. ისინი ყველაზე ნაკლებ იდიომატურები არიან ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის, რადგანაც მათი მნიშვნელობა მოტივირებულია, ანუ გამოიყვანება მასში შემავალ კომპონენტებზე დაყრდნობით. მაგალითად: „to draw a conclusion“; „to lend assistance“; „to make money“; „to pay attention to“; etc. ფრაზეოლოგიურ შენაერთებში თითოეულ სიტყვას შენარჩუნებული აქვს საკუთარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთ კომპონენტს აქვს გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიურ შენაერთებში, სიტყვები შეზღუდულნი არიან სხვა სიტყვებთან შეერთების, ანუ კომბინატორიკის უნარით. მაგალითად, ინგლისურში ამბობენ – „to deliver a lecture“ (და არა – “to read a lecture”), „to wage war“ (≠ “to lead war”); „to commit suicide“ (≠ to do suicide), etc. ამავდროულად, ფრაზეოლოგიურ შენაერთში დასაშვებია გრამატიკული ფორმის ცვალებადობა. შეიძლება ითქვას – “He clenched his fists” ან “has clenched his fists”, etc. ფრაზეოლოგიურ შენაერთებს ხშირად აყალიბებს ისეთი პოლისემანტიკური სიტყვები, როგორცაა “to make”, “to take”, “to do”, “to give”, etc.

მაგალითად: “to take a trip”, “to take interest”; “to make fun of”, “to make a statement”, “to make friends”, etc.

2) **ფრაზეოლოგიური მთელი (phraseological unity)** არის სემანტიკურად დაუმ-  
ლელი (განუყოფელი) ერთეული, რომლის მნიშვნელობაც მოტივირებულია, რამდე-  
ნადაც ის გამოიყვანება მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობების ერთობლიობით  
შექმნილი ხატის მეტაფორიზაციის შედეგად. მაგალითად:

„**to stick to one’s guns**“ = საკუთარი პოზიციების ბოლომდე დაცვა; (ეფუძნება ჯარისკაცის  
ხატს, რომელიც ადგილზე რჩება თოფით ხელში და მზად არის საომრად,  
თუმცა ბრძოლა წაგებულია და გასროლას აზრი აღარ აქვს). „*I’ll stick to my  
guns on this matter. I’m sure I’m right.*“

„**To catch / clutch at a straw**“ = ებლაუჭებოდე გადარჩენის მცირე შანსსაც კი უკიდურესი  
სამიშროების დროს („*Though the doctor confirmed more pain for days after the  
surgery, she is going to get it done as a drowning man’ll clutch at straws.*“)

„**To lock the stable door after the horse is stolen**“ = დაგვიანებით მიიღო უსაფრთხოების  
ზომები („*After the burglary they installed an alarm system that looks like lock-  
ing the barn door after the horse has been stolen*“).

„**To look a gift horse in the mouth**“ = საჩუქრის კრიტიკულად დათვალიერება („*The car’s  
not brand-new, but you shouldn’t look a gift horse in the mouth.*“).

„**The last straw/drop**“ = ვითარების კულმინაცია, რაც სიტუაციას აუტანელს ხდის.  
მეტაფორიზაციის წყაროა დატვირთული აქლემის ხატი, რომელსაც კიდევ  
რაიმის დამატება წელში გაწყვეტს.

„**A fish out of water**“ = პიროვნება, რომელიც უცხო გარემოში თავს არაკომფორ-ტულად  
გრძნობს. მაგალითად, („*After living in Hong Kong for most of his life, Lee was  
a fish out of water in Los Angeles.*“).

ხშირად ფრაზეოლოგიური მთლიანობები ცალკეული სიტყვების სინონიმებად გვევ-  
ლინება: „to make a clean breast of“ = “to confess”; „to get on one’s nerves“ = “to irritate”, etc.

ფრაზეოლოგიური მთელი წარმოადგენს გრამატიკულად განუყოფელ დაუმ-ლელ  
ერთულს, რადგან სინტაქსური ანალიზის დროს მისი სრული შემადგენლობა და არა

ცალკეული კომპონენტები ასრულებენ წინადადების რომელიმე წევრის ფუნქციას. მაგალითად, წინადადებაში – *“He took the bull by the horns”* – ორი მთავარი წევრია: ქვემდებარე (*“He”*), და შემასმენელი (*“took the bull by the horns”*). გარდა ამისა, ფრაზეოლოგიურ მთელში შემავალ მხოლოდ ერთ კომპონენტს აქვს გრამატიკული ფორმები. მაგალითად, *„to play“ (played, is playing, has played, etc.) „the first fiddle“* (მაგრამ არა – *“played the first fiddles”*).

ფრაზეოლოგიური მთლიანობები ხასიათდებიან სემანტიკური დუალიზმით, ანუ ორაზროვნებით, რის გამოც შეუძლებელია კონტექსტის გარეშე მათი მნიშვნელობის უშეცდომოდ განსაზღვრა. ერთ შემთხვევაში ის შესაძლოა გამოყენებული იყოს როგორც თავისფალ სიტყვათა ჯგუფი პირდაპირი მნიშვნელობით (*„The boy sat on the fence whistling“*), ხოლო მეორე შემთხვევაში – გადატანითი მნიშვნელობით როგორც ფრაზეოლოგიური მთელი. მაგალითად: *„During the debates the chairman was sitting on the fence.“* (დებატების დროს თავმჯდომარე მიუკერძოებელ პოზიციას ინარჩუნებდა). *“When Ann and Tom argue, it is best to sit on the fence and not make either of them angry.“* (როცა ენი და ტომი კამათობენ, უმჯობესია არცერთს მიემხრო, რათა არ გააბრაზო რომელიმე).

3) **ფრაზეოლოგიური შენაზარდები (phraseological fusions)** არის სიტყვათ-ჯგუფები მთლიანად შეცვლილი მნიშვნელობით. ფრაზეოლოგიური მთლიანობებისგან განსხვავებით, ეს ერთეულები არამოტივირებულად და ყველაზე იდიომატურებად განიხილება, ვინაიდან მათი მნიშვნელობა არ გამოიყვანელი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობებით შექმნილი ხატის მეტაფორიზაციის შედეგად:

„to pull one’s leg“ = to deceive (მოტყუება)

„at sixes and sevens“ = in confusion (თავდაყირა, უწესრიგოდ)

„once in a blue moon“ = very seldom (ძალზე იშვიათად)

„to show the white feather“ = to show cowardice (გამომჟღავნო სიმხდალე)

„neck and crop“ = entirely; altogether; thoroughly (მთლიანად, საფუძვლიანად)

ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია მნიშვნელობის ტრანსფორმირების ხარის-ხის ანუ იდიომატურობის მიხედვით, ერთი მხრივ, არ ითვალისწინებს მათ სტრუქტურულ

მახასიათებლებს; მეორე მხრივ, ბუნდოვანი და სუბიექტურია ასევე ფრაზეოლოგიური მთელის გამიჯვნა ფრაზეოლოგიური შენაზარდისგან, რამდენაც ერთი და იგივე ერთეული შესაძლოა ზოგს მოტივირებ; ულად ეჩვენოს, ზოგს კი – არა. რაც უფრო ღრმად ფლობს ადამიანი ენას და მის კულტურას, მით მეტ მოტივირებას ანუ ასოციაციურ მეტაფორულ კავშირებს პოულობს ის ფრაზეოლოგიზმებში.

#### 4.4. ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაცია მეტყველების ნაწილებად

ეს კლასიფიკაცია ეფუძნება ფრაზეოლოგიური ერთეულების უნარს, წინადა-დების სტრუქტურაში იფუნქციონ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილად. ლინგვისტები გამოყოფენ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რამდენიმე ტიპს (Куних 1980). ესენია:

1) სახელადი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ საგნებს, ადამიანებს, სხვა ცოცხალ არსებებს ან აბსტრაქტულ ცნებებს. მაგალითად: „bullet train“ (ზე-სწრაფი სამგზავრო ექსპრესს-მატარებელი), „the root of trouble“ (უსიამოვნების /უბედურების მიზეზი, წყარო), „dog’s life“, (ძალღური ცხოვრება), „cat-and-dog life“ (ოჯახური კინკლაობა), „white lie“ (უწყინარი ტყუილი), „tall order“ (ძნელად შესასრულებელი მოთხოვნა), „birds of a feather“ (ერთი ჭკუის ადამიანები), „a coffin nail“ (სიგარეტი).

2) ზმნური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ მოქმედებას, მდგომარეობას ან გრძნობას: „to run for one’s life“ (გაქცევით თავის შველა), „to get (win) the upper hand“ (უპირატესობის მოპოვება), „to talk through one’s hat“ (სისულელის ჩმახვა), „to make a song and dance about smth.“ (ატეხო აურზაური, ყაყანი, ან ალიაქოთი რაღაცის გამო), „to sit pretty“ (Am. sl.) = იყო მომგებ პოზიციაში, etc.

3) ადიექტური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც თვისებას აღნიშნავენ: „high and mightly“ (ქედმაღალი და ამპარტავანი), „spick and span“ (კობტა, პეწიანი, ახლებში გამოწყობილი), „brand new“ (ახალთახალი), „safe and sound“ (საღსალამათი). ამ ჯგუფში შედიან ასევე შედარების სტრუქტურის მქონე ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც განსაკუთრებული გამომხატველობით, ზოგჯერ კი სასაცილო, მოულოდ-

ნელი ასოციაციური კავშირებით ხასიათდებიან. მაგალითად: „(as) cool as a cucumber“ (მშვიდი, თავდაჭერილი, უშფოთველი), „nervous as a cat“ (ნერვიული), „weak as a kitten“ (ნაზი და სუსტი), „good as gold“ (ძალიან კარგი), „pretty as a picture“ (ძალიან ლამაზი, დახატული), „slippery as an eel“ (მოხერხებული, გაქნილი, ეშმაკი), „drunk as an owl“ (გალეშილი), „mad as a hare in March“ (გადარეული, გაგიჟებული, etc.).

4) ადვერბიალური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც მოქმედების ახასიათებენ. მაგ.: „high and low“ („*They searched him high and low*“ = ის საგულდაგულოდ გაჩხრიკეს), „by hook or by crook“ („*She decided that, by hook or by crook, she must marry him*“ = გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ცოლად გაჰყოლოდა მას.), „in cold blood“ („*The crime was committed in cold blood*“ = დანაშაული შეუბრალებლად იყო ჩადენილი.), „to the bitter end“ („*to fight to the bitter end*“ = იბრძოლო ბოლომდე).

5) კავშირებითი ფრაზეოლოგიზმები: As long as; on the one hand, on the other hand, etc.

6) შორისდებული ფრაზეოლოგიზმები: „By Jove!“ (ღმერთმანი!), „By George!“ (დასწყევლოს ღმერთმა!), „Goodness gracious!“ (მადლობა ღმერთს!), Good Heavens! (ღმერთო ჩემო!), „Catch me!“ etc.

## §5. ფრაზეოლოგიური ერთეულების მიმართება ანდაზებთან

ლინგვისტურ ლიტერატურაში ერთ-ერთ საკამათო საკითხს წრმოადგენს იმის გარკვევა, რა მიმართებაშია ფრაზეოლოგიური ერთეულები ანდაზებთან და შესაძლებელია თუ არა მათი ერთად განხილვა. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და ანდაზებს შორის არ არსებობს მუდმივი და მტკიცე ზღვარი, რამდენადაც ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირად სწორედ ანდაზებიდან წარმოიქმნება. მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეული – „the last straw/drop“ (*უკანასკნელი წვეთი, მოთმინების ფიალის ამვსები*) – წარმოიქმნა შესაბამისი ანდაზებიდან „The last straw breaks the camel's back“ (*უკანასკნელი ჩალის ღერო აქლემის ზურგს ტეხს*), და „The last drop makes the cup run over“ (*ბოლო წვეთი გადაავსებს მოთმინების ფიალას*). ფრაზეოლოგიური გამოთქმა – „birds of a feather“ – ანალოგიურად წარმოიშვა ანდაზიდან – „Birds of a feather flock together“ (*გული გულს იცნობს და სული სულს*). „To catch at a straw (straws)“ წარ-

მოიშვა ანდაზიდან – „A drawing man catches straws“ (წყალწაღებული ჩალას/ხავსს ეჭიდებაო.). ზოგიერთი ანდაზა კი ადვილად გარდაიქმნება ფრაზეოლოგიურ ერთეულად. მაგ.: „Don't put all yours eggs in one basket“ (ნუ დააბანდებთ მთელ კაპიტალს/ფულს ერთად) გარდაიქმნა ფრაზეოლოგიზმად – „to put all one's eggs in one basket“ (ფულის ერთად დაბანდება) და ა.შ..

და მაინც, ფრაზეოლოგიური ერთეულები განსხვავდება ანდაზებისგან. ვინოგრადოვი (Виноградов 1977) და კუნინი (Кунин 1980) გამოყოფენ მათ განმასხვავებელ რამოდენიმე ნიშანს:

1. პირველი არის მათი სტრუქტურული განსხვავებულობა: ფრაზეოლოგიური ერთეულები წარმოადგენენ მზა კონსტრუქტებს (წარმონაქმნებს), რომლებიც, სიტყვის მსგავსად, წინადადებაში ასრულებენ რომელიმე ძირითადი წევრის სინტაქსურ ფუნქციას. ანდაზები კი სტრუქტურულად დასრულებულ წინადადება-ტექსტებს წარმოადგენენ, რაც ნათლად ჩანს მაგალითებშიც: „*We never know the value of water till the well is dry*“ (წყლის ფასს მაშინ გავიგებთ, როცა ჭა დაშრება); „*Money often unmakes men, who make it*“ (ფული ხშირად აფუჭებს ადამიანებს, რომლებიც მას შოულობენ).

2. თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და ანდაზებს შევადარებთ ფუნქციურ-სემანტიკური ასპექტით, განსხვავება მათ შორის კიდევ უფრო აშკარა გახდება. ანდაზები შეიძლება შევადაროთ პატარა იგავებს, რომლებშიც ხალხური გამოცდილება და სიბრძნეა ჩაქსოვილი. ისინი ქადაგებენ მორალს, იძლევიან სხვადასხვა დარიგებას, შეგონებას და გაფრთხილებას; აკრიტიკებენ ადამიანის ისეთ მანკიერ მხრეებს, როგორცაა სიზარმაცე, სიხარბე, მუქთახორობა და სხვა. ანდაზისგან განსხვავებით, ფრაზეოლოგიური ერთეულები შეიცავენ ცალკეულ კონცეპტებს და არა რაიმე მტკიცებას.

3. ფრაზეოლოგიზმების ფუნქცია მეტყველებაში შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშვნის ანუ დენოტაციის ფუნქციით (ისინი აღნიშნავენ საგანს, მოქმედებას, ამა თუ იმ თვისებას და ა.შ.), მაშინ როდესაც ანდაზები ხასიათდებიან კომუნიკაციური ფუნქციით, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მიკროტექსტებს, რომელთა მთავარ დანიშნულებას გარკვეული დიდაქტიკური ინფორმაციის დამოუკიდებლად გადაცემა წარმოადგენს.

## თავი II

### ფერთა სიმბოლიკა ანგლოფონურ კულტურაში და ფრაზეოლოგიურ ერთეულებში

#### §1. ძირითადი ფერების და მათი აღმნიშვნელი ტერმინების თეორია და მისი ევოლუცია

ფერის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლისას, განმსაზღვრე-ლი ფაქტორია თავად ფერთა სისტემის კატეგორიზაცია, რომელიც კოგნიტურ პრო-ცესებს ეფუძნება და განაპირობებს ძირითადი ფერების გამოვლენას გარე სამყაროსა და ადამიანის წარმოდგენებს შორის ურთიერთკავშირის დამყარების გზით.

ფერი, დიდი ხანია, რაც ფსიქოლოგებისა და ფიზიოლოგების კვლევის საგანი გახდა. მათ გამოიკვლიეს თვალისა და ნერვული სისტემის მიერ ფერის აღქმის ფუნქციები. ფსიქოლოგიაში ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის ემოციის ფერთა პარამეტრებთან შეფარდების ხერხი: თითოეული ემოცია გარკვეულ ფერთან ასოცირ-დება, ხოლო თითოეული ფერი გარკვეულ ემოციას იწვევს.

კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარებამ ბიძგი მისცა ფერთა ვერბალური აღქმის კვლევებს. ა. ვეჟბიკვას აზრით, ფერი არის კულტურის ერთ-ერთი კონსტანტა და ის,

„შესაძლოა, განვითარების თავისებური მოდელი იყოს, რომელიც ასახავს კულტურისთვის მნიშვნელოვანი ზოგადუნევერსალური და ეროვნული შეფერი-ლობის მქონე კონცეპტების ფორმირებას, მათი ათვისებისა და ეთნომეხსიერებაში განმტკიცების გზებს“. ავტორი აღნიშნავს, რომ ფერის კონცეპტი, როგორც კულტურის კომპონენტი, გარემოცულია „ენობრივ და სოციო-კულტურულ პრაქტიკაში განმტკიცებული მრავალრიცხოვანი ასოციაციებით და მნიშვნელობებით, რის გამოც ის ზნეობრივი და ეთიკური ფასეულობების ამსახველი ხდება (Wierzbicka 1990: 110).

უმბერტო ეკო თავის სტატიაში "How colour conditions the colours we see" (Eco 1991) მიუთითებს, რომ ფერთა შორის განსხვავებები და მათი აღქმა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ფიზიოლოგიური ან ფსიქოფიზიოლოგიური მიზეზებით. თუ ენაში არსებობს, მაგალითად, სიტყვა *red* (წითელი), ყოველთვის შეიძლება მისი დაზუსტება და აღწერა როგორც სისხლის ფერის, ოქროს ან ზაფრანის ფერისა – როგორც მზის ფერის, etc. სხვა სიტყვებით, შესაძლებელია ფერების დაზუსტება და აღქმა შედარებების და გარემომცველი სამყაროს საგნებზე მითითების გზით.

ფერთა და მათი აღმნიშვნელი ლექსიკის შესწავლისას, ბ. ბერლინი და პ. კეი აღნიშნავენ, რომ ინგლისურ ენაში, როგორც ბევრ სხვა ენაში, არსებობს 11 სიტყვისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც ძირითად ფერებს აღნიშნავენ (BCT = Basic Color Terms): *red, yellow, green, blue, black, white, gray, orange, brown, pink, and purple* (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, შავი, თეთრი, რუხი, ნარინჯისფერი, ყავისფერი, ვარდისფერი და იისფერი). ისინი ამტკიცებენ, რომ ძირითადი ფერების ტერმინოლოგია უნივერსალურია და ფერთა აღნიშვნების განვითარების პროტოტიპებს წარმოადგენს (Berlin & Kay, 1969). ბერლინმა და კეიმ შეიმუშავეს ძირითადი ფერების და მათი შესაბამისი ტერმინოლოგიის შემდეგი სქემა:

- ყველა ენაში არსებობს აღნიშვნები თეთრისთვის და შავისთვის;
- თუ ენაში არის სამი აღნიშვნა, მაშინ ეს წითელია;
- თუ ენაში არის ოთხი აღნიშვნა, მაშინ ეს ან მწვანეა, ან ყვითელი (მაგრამ არა ერთდროულად);
- თუ ენაში არის ხუთი აღნიშვნა, მაშინ ეს არის ორივე – მწვანე და ყვითელი;
- მეექვსე აღნიშვნა – ლურჯი (blue);

- მეშვიდე აღნიშვნა – ყავისფერი;
- მერვე და მეტი – ვარდისფერი, რუხი, ან მათი კომბინაციები.

ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ლინგვისტურ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს მონოლექსემა, ანუ მარტივი ძირეული სიტყვა;
- მისი კონცეპტუალური არსი არ უნდა შედიოდეს ფერის აღმნიშვნელ არც-ერთ სხვა სიტყვაში;
- მისი გამოყენება არ უნდა იყოს შემოსაზღვრული ობიექტების ვიწრო წრით;
- ის უნდა იყოს ადვილად ამოსაცნობი ინფორმანტებისთვის;
- არ შეიძლება იყოს სხვა ენიდან ახლად ნასესხები სიტყვა.

ჩვენთვის თეორიულ ამოსავალს წარმოადგენს ა. ვეჟბიცკას თეორია ძირითადი ფერების შესახებ. მკვლევარი თვლის, რომ ბერლინისა და კეის მიერ მითითებული ფერები განეკუთვნება ბევრად ფართო სემანტიკურ ველს, რომლის საზღვრები მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, ვინაიდან ის შეიცავს როგორც მოცემული ფერების სხვადასხვაგვარ ელფერს და ტონებს, ასევე მათ კომბინაციებს და ვარიაციებს – მაგალითად ისეთებს, როგორცაა: *beige, maroon, magenta, scarlet, gold, rosy, etc.* (ჩალისფერი, წაბლისფერი, მეწამული, ალისფერი, ოქროსფერი, ვარდისფერი). ვეჟბიცკას კვლევებში აღნიშნულია, რომ ინგლისურში ფერთაღმნიშვნელ სიტყვათა გარკვეული რაოდენობა ეფუძნება მსგავსებით გამოწვეულ ასოციაციებს, ანუ "look-like" პარადიგმას. მაგალითად: *gold* და *silver* გულისხმობს ბზინვის არსებობას; *rosy* ვარაუდობს რაიმე ნორჩს, ცოცხალს და საყვარელს (როგორც ვარდია) და ა.შ. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ბერლინისა და კეის მიერ შემუშავებული 11-კომპონენტანი ძირითადი ფერთ-აღმნიშვნელი ტერმინოლოგია არ შეიძლება განხილული იყოს როგორც სემანტიკური უნივერსალია (Wierzbicka 1990).

ვეჟბიცკას ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: მას ძირითად, საბაზისო ფერებად და შესაბამის ტერმინებად მიაჩნია პირველი შვიდი ბერლინისა და კეის სქემაში. ესენია: *white, black, red, yellow, blue, green, gray* (თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, რუხი). მათი ცნებები გარკვეულ უნივერსალურ პროტოტიპებს ემყარება, რომლებიც ფუძემდებლურ როლს ასრულებენ ადამიანის გამოცდილებაში. ეს

პროტოტიპები უნდა განვიხილოთ არა იმდენად „მაგალითებად“ ან „მოდელებად“ (ანუ იმად, რასაც ჰგავს მოცემული ობიექტი), რამდენადაც უფრო რეფერენციის წერტილებად, ანუ იმად, რაზედაც ჩავგაფიქრებს ან გვახსენებს მოცემული ობიექტი. მაგალითად, თუ განვიხილავთ „შავის“ ყველაზე ბუნებრივ და გავრცელებულ ნიმუშს, აშკარაა, რომ ეს იქნება „ნახშირი“. მაგრამ თუ რეფერენციის ყველაზე ბუნებრივ წერტილებს მოვიძიებთ, მათ ყველგან ვიპოვით, თავად „ლამის“ (და არა ნახშირის) შესახებ წარმოდგენაშიც კი (Wierzbicka 1992: 222).

შვიდი ძირითადი ფერთაღნიშვნა აგებულია ადამიანის სიცოცხლის/ცხოვრების და გარემოს უნივერსალურ თავისებურებებზე, რის გამოც ის არ წარმოადგენს „წარმოსახვით ნარევს“. "თეთრი" და "შავი" ფერები კონცეპტუალურად დაკავშირებულია "სინათლის" და "სიბნელის" ცნებებთან, რომლებშიც ასახვას ჰპოვებს დღისა და ღამის დაპირისპირება; კონცეპტი „წითელი“ თავის რეფერენციაში შეიცავს სისხლის (ასევე, ცეცხლის) კონცეპტს; „ყვითელი“ გვახსენებს მზეს, „მწვანე“ – მცენარეულობას, ანუ იმას რაც მიწიდან ამოიზრდება, „ლურჯი“ (blue) – ცას ან წყალს; „რუხი“ კი აღიქმება როგორც ბუნდოვანი, გარდამავალი ფერიც სიბნელესა და სინათლეს შორი.

ძირითადი ტერმინების განვითარების პარალელურად ენაში ჩნდება სიტყვები, რომლებიც გადმოსცემს ფერის სხვადასხვა ელფერს და კომბინაციებს. მაგრამ, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ის ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც რეალიზებულია ამ შვიდი ძირითადი ფერის სიმბოლური მნიშვნელობები. ამასთან ერთად, მხედველობაში ვიღებთ იმ ფაქტს, რომ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ყველა მკვლევარი მიუთითებს, რომ განსხვავებულია განსხვავებულია ამ სიტყვების მახასიათებლური პოტენციალი, და რომ ყველაზე დიდი შეფასებითი დატვირთვა აქვს სპექტრის ძირითადი ფერების.

## **§2. ფერის კონცეპტის რეპრეზენტაცია ენაში**

ენციკლოპედიის „ბრიტანიკა“ თანახმად, საკუთრივ ფერებს არა აქვთ რაიმე გარკვეული მნიშვნელობა – ისინი მხოლოდ ზემოქმედების ძალას ფლობენ. თუმცა, ხელოვნებაში გამოყენებისას, სავარაუდოდ, ფერი მნიშვნელობას იძენს იმის წყალობით, რომ,

ერთი მხრივ, მას შეუძლია გახდეს ცნების სიმბოლო (მაგალითად, როგორც „წითელი“ არის ვაჟკაცობის სიმბოლო); მეორე მხრივ კი, ის ძლიერ ემოციურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და აღვიძებს მასში ასოციაციათა მთელ სპექტრს (The New Encyclopedia Britannica 1968).<sup>3</sup>

ფერის აღქმის ენობრივი სისტემა მკვეთრად განსხვავდება მეცნიერულისგან „თავისი ანთროპოცენტრულობით: ობიექტების ფერის აღწერაზე მოქმედებს როგორც ადამიანის მიერ ფერის აღქმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ასევე ცოდნა სამყაროსა და მისი ფიზიკური მოწყობის შესახებ“ (Gross 1981: 111). თითოეული ერისთვის ფერი სამყაროს შემეცნების და მისი ენობრივი გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან ფერი ემსახურება გარემომცველ სამყაროსა და თავად ადამიანში ყველაზე მნიშვნელოვანისა და შესამჩნევის აღნიშვნას (სიცივისგან გაღურჯება, ბრაზისგან გაწითლება, შიშისგან გათეთრება და სხვ.).

ყურადღებას იმსახურებს გროსის მიერ განხორციელებული კვლევა, რომელშიც მან წარმოაჩინა წითელი და ლურჯი ფერების კონოტაციური დატვირთულობა (Gross 1981). შავისა და თეთრისგან განსხვავებით, რომლებიც სინათლისა და სიბნელის ფერებს წარმოადგენს, წითელი და ლურჯი ძირითადი ფერების ფერად ჯგუფს განეკუთვნება. ფსიქოლოგები მტკიცებენ, რომ წითელი არის პირველი ფერი, რომლის ამოცნობასაც ბავშვი სწავლობს, რაც დადასტურებულია ყველა იმ ენის ევოლუციით, რომლებშიც შავისა და თეთრის შემდეგ (რომლებიც, უბრალოდ, ახასიათებს სინათლის არსებობას ან არარსებობას), *წითელი* ყველაზე მნიშვნელოვანია ფერია. კვლევებით არაერთხელ დადასტურდა, რომ წითელი ფერის ზემოქმედება ასტიმულირებს გულისცემას და ხელს უწყობს ადრენალინის გამო-მუშავებას. ჭარბი ინტენსივობის წითელი ფერით ზემოქმედება ძლიერ აღიზიანებს ადამიანის ნერვულ სისტემას, რაც აგრესიულ ქცევას იწვევს. ეს მოვლენა, ასევე წითელი ფერის ასოციაციური კავშირი სისხლთან, ასახულია წითელი პლანეტის დასახელებაში, რომელსაც ომის ღმერთის მარსის სახელი უწოდეს. ადამიანების-თვის წითელს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – ძველი ეგვიპტელები უმნიშვნელოვანეს მოვლენებს წითელი მელნით წერდნენ, კათოლიკურ ეკლესიაში კი წითელი გამოიყენება კარდინალის ძალაუფლებისა და

<sup>3</sup> <https://www.britannica.com/>  
<https://eb.ipublishcentral.com/authenticate/login>

სიდიადის ხაზგასასმელად და კალენდარში დღესასწაულების აღსანიშნავად (Gross 1981).

მე-19 საუკუნეში, როდესაც ფსიქოლოგებმა ერთმანეთს შეადარეს ყველა ის ასოციაცია, რომელსაც ადამიანებში ლურჯი ფერი იწვევს, აღმოჩნდა, რომ ლურჯის კონოტაციებს ამბივალენტური თვისებები აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის იწვევს რო-გორც დადებით, ასევე უარყოფით ასოციაციებს. ლურჯ ფერთან არის დაკავშირებული ისეთი კონცეპტები, როგორებიც არის უშფოთველი ბედნიერება, სიმშვიდე და ასევე დიდი მწუხარება. გარდა ამისა, ლურჯი ფერი, იქნება ეს ცის ელფერით თუ ოკეანის ფერი, აღიზიანებს თავის ტვინის პარასიმპათიკურ წილებს – ლურჯი აძლიერებს მოწყენილობისა და დაღლილობის შეგრძნებებს. თუმცა, როდესაც ლურჯის ელფერი ინტენსიური ხდება, ეს შეგრძნება სევდის გრძნობასა და, შესაძლოა, დეპრესიაშიც გადაიზარდოს. ამიტომ, ასოციაციურად ლურჯს უკავშირებენ ისეთ ცნებებს, როგორებიც არის სიჩუმე, სიმშვიდე, სულიერება, განმარტობა, მელან-ქოლია, ოცნებით გატაცების და ჩაფიქრების მდგომარეობები; მაგრამ მასვე მიაწერენ ისეთ შეგრძნებებს, როგორებიც არის განდგომა და დეპრესია (Gross 1981).

სინათლის ფერთა მახასიათებლებში ვლინდება სხვადასხვა ფერების სემანტიკური კავშირი სინათლესთან და სიბნელესთან, და ერთმანეთთან. ყველაზე ცხადად წარმოგვიდგება კავშირი შავ ფერსა და სიბნელეს შორის, თეთრ ფერსა და სინათლეს შორის. სინამდვილეში, მეტნაკლებად მარტივია მხოლოდ პირველი კავშირი, რადგან სიბნელე, ჩრდილი, შავი საგანი ერთნაირ მხედველობით შთაბეჭდილებას ახდენს. კავშირი „თეთრსა“ და „სინათლეს“ შორის ასეთი თვალსაჩინო არ არის; საგნობრივი კონცეფციის ფარგლებში თავად სინათლეს არა აქვს ფერი, ის მხოლოდ საგნების ფერებს გამოავლენს. თუ მზის სინათლის ან ნათურის შუქის ფერის აღწერაა საჭირო, მას, უმეტესად ყვითელი ფერით აღწერენ. სავსებით შესაძლებელია, რომ კავშირი „სინათლე“ – „თეთრი“ დაფუძნებული იყოს იმაზე, რომ თეთრი ყველაზე ნათელია ფერთა შორის და ყველაზე მეტად იგივდება სინათლესთან.

ფერის სიმბოლიკა, მისი კავშირი კულტურასთან და ის კოგნიტური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ის რეალიზდება, ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ფრაზეოლოგიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია განვიხილოთ, თუ

როგორ ხდება ფერის აღქმის შესახებ ცოდნის რეპრეზენტაცია ენაში, კერძოდ კი ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობათა სტრუქტურაში.

### § 3. ექსტრალინგვისტური და კულტუროლოგიური ფონური ცოდნის როლი ფერთა აღმნიშვნელი იდიომების მნიშვნელობათა ფორმირებასა და გაგებაში

სიტყვის მნიშვნელობაში აისახება ენობრივი და ექსტრალინგვისტური ინფორმაციის მთელი ერთობლიობა, ხდება სამყაროს შესახებ ადამიანის იმ ცოდნის ობიექტივაცია, რომელიც ასახავს რეფერირებული ობიექტის ყველაზე განსხვავებულ მხარეებსა და გამოვლენებს. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფრაზეოლოგიურ ერთეულებში დაგროვილი ექსტრალინგვისტური ცოდნის ანალიზი და მისი როლის გამოვლენა. ფაქტია, რომ ზოგადი და კულტუროლოგიური ხასიათის ფონური ცოდნის გარეშე შეუძლებელია ფრაზეოლოგიზმების ადექვატური აღქმა-ინტერპრეტაცია.

მაგალითად, ფრაზეოლოგიური ერთეულის „**black box**“ მნიშვნელობა – სისტემა ან მოწყობილობა, რომლის მუშაობის პრინციპი გაუგებარია და დაფარული, მაშინ როდესაც შედეგი ნათელია – დამყარებულია უნივერსალურ ფონურ ცოდნაზე იმის შესახებ, რომ „შავი ყუთი“ (საბორტო თვითჩამწერი) წერს იმას, რაც ხდება პილოტის კაბინაში, მაგრამ ამას აკეთებს ფარულად და დამსწრეთათვის მიუწვდომლად. ამ ცოდნის გარეშე მეტაფორული მნიშვნელობის აზრი გაუგებარი იქნება.

უნივერსალური ცოდნის გარდა, ფერთა აღმნიშვნელის შემცველი იდიომების მნიშვნელობის გასაგებად საჭიროა გარკვეული ისტორიულ-კულტუროლოგიური, გეოგრაფიული და სხვა ტიპის ექსტრალინგვისტური ფაქტების ცოდნა, რომლებიც შეტანილია ცნობარებსა და ფრაზეოლოგიურ ლექსიკონებში. მაგალითად, *იდიომთა ლექსიკონის მიხედვით, ფრაზეოლოგიური ერთეული „between the devil and the deep blue sea“ – გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა; ორ ცეცხლს შუა ყოფნა* – ასოციაციურად უკავშირდება საზღვაო სიტუაციას, როდესაც მეზღვაურებს უხდებათ თოქაბმუ-ლებმა წაუსვან კუპრი გემის გვერდზე გაჩენილ ბზარს, რა დროსაც არსებობს საშიშ-როება,

ერთი მხრივ, ზღვაში ჩავარდნის; მეორე მხრივ, ბზარის არამოვსების შემთხვევაში – გემის დაღუპვის.

„**the black hole of Calcutta**“ – ცხელი და დახუთული, უჰაერო ადგილი. ამ გამოთქმას სათავე დაუდო რეალურმა ისტორიულმა მოვლენამ, რომელიც ინდოეთის ერთ-ერთ საპატიმროში მოხდა 1756 წელს: ბევრი პატიმარი, რომელიც ღამით პატარა საკანში ჩამწყვდიეს, დილით სიცხისგან და უჰაერობისგან გაგუდული იპოვნეს.

ცნობილი გამოთქმა „**the thin red line**“ – მცირე ძალების გმირული ბრძოლა ბევრის წინააღმდეგ, თავდაპირველად აღწერდა წითლით შემოსილი ჯარების განლაგებას 1854 წელს ბალაკლავასთან ბრძოლის დროს ყირიმის ომში.

ფრაზეოლოგიური ერთეულის „**black ox**“ – ცუდი იღბალი, შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ შავ ხარებს მსხვერპლად სწირავდნენ პლუტონს და მის მსგავს ღვთაებებს.

„**The white feather**“ – შიშის, სიმბდალის და გაუბედაობის სიმბოლო – მეტაფორულად ასოცირდება მამლების ჩხუბთან (“where a game cock displaying the white rim of feather under his hackle acknowledges defeat, wants to give up”).

„**the Black Death**“ – “the outbreak of bubonic plague in the 14<sup>th</sup> century.”

ფრაზეოლოგიური შეხამებები აღწერენ არა აბსტრაქტულ მოვლენებს, არამედ ლოკალურ, განსაზღვრული პერიოდის ისტორიულ-კულტურულ სიტუაციებს და მოვლენებს, რომლებიც საჯარო აღქმას ექვემდებარებიან და ენის მატარებელთა ცნობიერებაში დაფიქსირებულია მყარი გამონათქვამების სახით. (Kovecses 2002).

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობების გასაგებად ენის მატარებლებს შესაძლოა დასჭირდეს როგორც უნივერსალური ცოდნა სამყაროს შესახებ, ასევე სინამდვილის მეტაფორული გააზრების ხერხი, რომელიც ინგლისურენოვანი სოციუმისთვის არის დამახასიათებელი.

#### § 4. ცალკეულ ფერთა სიმბოლიკა ინგლისურენოვან კულტურაში

რამდენადაც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ფერთა აღნიშვნის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, იმდენად თითოეული ფერის სიმბოლიკა ფუძემდებლურია მათი მნიშვნელობის ფორმირებისთვის. თავის მხრივ, ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების სიმბოლიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ეტიმოლოგი-ასთან და იმ კულტურულ-ისტორიული ტრადიციების წარმოჩენასთან, რომლებმაც განაპირობა მათი მეტაფორიზაცია და სიმბოლურ მნიშვნელობათა მთელი სპექტრი.

ფერის აღმნიშვნელი სიტყვების ეტიმოლოგიური ანალიზის დროს წარმოჩინდა, რომ ისტორიის მანძილზე სიტყვას, შესაძლოა, ჰქონდეს რამდენიმე ასოციაციური კავშირი სხვადასხვა პროტოტიპურ სიტუაციასთან, რომლის მეტაფორული გადააზრება ხდება მის ბაზაზე შექმნილ ფრაზეოლოგიური ერთეულში (Телия 1996: 230). ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისადმი მიძღვნილი ლიტერატურის კრიტიკული განზოგადება და მათი ლექსიკოგრაფიული ეტიმოლოგიური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს შემოვთავაზოთ იმ შვიდი ძირითადი ფერის (red, yellow, green, blue, black, white, gray) სიმბოლური მნიშვნელობები, რომელთა საფუძველზეც იქმნება ფრაზეოლოგიზმების იდიომატურობა.

#### 4.1 შავი და თეთრი ფერების (black & white) სიმბოლიკა

როგორც კოგნიტივისტები კოვეჩეში და ჟაბო აღნიშნავენ, შავი ფერის საფუძველზე წარმოქმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულები მნიშვნელობათა ყველაზე მეტი გამჭვირვალობით ხასიათდებიან. მათი წარმოქმნა, ძირითადად, ეფუძნება სამიზნე ცნების შედარებას რაიმე შავთან (მაგალითად, ჰვარტლთან, ნახშირთან, კუპრთან, etc.; ანუ, მასთან, რასაც მურთან აქვს კავშირი): *“as black as soot”; “as black as coal”; “as black as pitch”; “black as a coal pit”* (Kovecses & Szabo 1996: 330).

**“the Black Country”**: “highly industrialised area of Central England, so called because of the smoky air and blackened buildings from the heavy industry.”

სინათლის ფერთა მახასიათებლებში ვლინდება სხვადასხვა ფერების სემანტიკური კავშირი სინათლესთან და სიბნელესთან, და ერთმანეთთან. ყველაზე ცხადად წარმოგვიდგება კავშირი შავ ფერსა და სიბნელეს შორის, თეთრ ფერსა და სინათლეს შორის. „შავი“ და „თეთრი“ ფერების მნიშვნელობების ურთიერთკავშირი აშკარაა არა მხოლოდ მოცემული ფერების შემცველ ფრაზეოლოგიზმთა მაგალითზე, არამედ მათი

ენობრივი ანტონიმურობა თავად ფერთა ამ კატეგორიების ბუნებაში დაპირისპირებიდან გამომდინარეობს. შავი ფერი ასევე ასოცირდება ჭუჭყთან და სიმბურესთან, თეთრის სიმბოლური მნიშვნელობა კი დაკავშირებულია სისუფთავის, სისპეტაკისა და სიწმინდის ცნებებთან. ანტონიმურობის პროცესში შესაძლოა წარმოიქმნას ახალი ფრაზეოლოგიური ერთეულები. მაგალითად, ლექსემა **black**-ის ჩანაცვლებით ანტონიმით **white**, გაჩნდა საპირისპირო იდიომატური გამოთქმები:

“**black market**” (შავი ბაზარი) / “**white market**” (ლეგალური ბაზარი)

“**the black sheep**” (ოჯახის შემარცხვენი / “**white sheep**” (ოჯახის ერთადერთი დადებითი წევრი

“**the black hole**” (შავი ხვრელი) / “**white hole**” (ჰიპოთეტურად, ხვრელი საიდანაც ენერგია ამოიფრქვევა)

თავის მხრივ, იდიომატური გამოთქმის “**the black hole**” (შავი ხვრელი, რომელშიც ყველაფერი უჩინარდება, ან ყველაფერს შთანთქავს) ეტიმოლოგია ისტორიულ-კულტურულად არის განპირობებული და ასოცირდება 1756 წელს ინდოეთში, კალკუტის ციხეში მომხდარ ამბავთან, როდესაც 146 ევროპელი პატიმრისგან, მხოლოდ 23 გადარჩა, დანარჩენები კი გაიგუდნენ საკნებში გაბატონებული სიციხისა და დახუთულობისგან.<sup>4</sup>

ამრიგად, ფერის "black" სიმბოლიკას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, მისი ანტონიმურობა თეთრ ფერთან (შავი ფერის როგორც „ბნელის“, ასევე ბინძურის“ მნიშვნელობით) და, მეორე მხრივ, ამ ფერის ისეთი მნიშვნელობა, როგორც არის „ცუდი, ბოროტი“ და სიკვდილი. მაგალითად: “**the Black Death**” – შავი ჭირის, ქოლერის პანდემია, რომელმაც მილიონობით ხალხი იმსხვერპლა ევროპაში მე-14 სკ.-ში.

## 4.2 წითელი ფერის ("red") სიმბოლიკა

წითელი ფერი უშუალოდ არის დაკავშირებული ცეცხლის ცნებასთან, რომელიც ღვთაებასთან იყო გაიგივებული და არამიწიერ, ზებუნებრივ ძალას განასახიერებდა. ინგლოფონურ კულტურაში ცეცხლი „წითელის“ აშკარა კონცეპტუალური პროტო-

<sup>4</sup> <https://www.theidioms.com/black-hole/>

ტიპია, რასაც ადასტურებს ისეთი მდგრადი გამოთქმების არსებობა, როგორცაა “red-hot”, “fiery red”. უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლის კონცეპტი პრაქტიკულად არ ჰპოვებს ასახვას იდიომებში – ფერთა აღნიშვნებში, რომლებიც წითელ ფერს შეიცავს. როგორც გოდარდი მიუთითებს, "ფრაზეოლოგიზმში – “red as a fire” – წითელი ფერი ასოცირდება არა ცეცხლთან, არამედ ემოციებთან" (Goddard 1998: 65).

წითელი ფერის ამ სიმბოლური დატვირთვისთან დაკავშირებით, საინტერესოა ა. ვეჯბიკვას მოსაზრება. მკვლევარი ანალიზებს მთელ რიგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რის ბაზაზეც დაასკვნის, რომ წითელი, ცეცხლის კონცეპტის გარდა, თავის რეფერენციაში სისხლის კონცეპტსაც შეიცავს.

“red as blood” – to describe a special colour of things; სისხლივით წითელი;

წითელი ფერის ერთ-ერთი მნიშვნელობა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ორგანიზმის სუფთა ფიზიოლოგიურ რეაქციასთან (სირცხვილის ან შეცბუნების, ზოგჯერ კი – განრისხების გამო) და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებასთან, რომელიც ასოცირდება რაიმე უღირსთან, უხამსთან, უზნეოსთან, სამარცხვინოსთან. ასეთი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიური ერთეული რამდენიმეა ინგლისურ ენაში:

“go red (in the face)” / “have a red face” / “turn red” – სისხლის მოწოლა სახეში  
სიბრაზისგან, უხერხულობისგან გამოწვეული

“red as a beetroot / fire “ – სირცხვილისგან ან მრისხანებისგან გაწითლებული;

“go blush / red” – სირცხვილისგან (ან მრისხანებისგან) გაწითლება;

“have a red face” – შეცბუნება;

“see red” – მოულოდნელად გაბრაზება ან გაღიზიანება;

ამ ყველა ფრაზეოლოგიურ ერთეულში წითელი ფერი ასოცირდება ემოციებისგან სისხლის სახეში მოწოლასთან

წითელს ასევე ვალში ყოფნის, და ფინანსური პრობლემების ქონის მნიშვნელობაც აქვს, რაც შესაბამისად აისახება მთელ რიგ იდიომატურ გამოთქმებში:

“bleed red ink” – მწვავე ფინანსური პრობლემების ქონა;

“in the red” – ვალის მართება სხვა პირის ან ორგანიზაციის მიმართ;

“into the red” – ვალში ჩავარდნა;

“out of the red” – ვალის გადახდა;

“not a red cent” – არ აიღო მცირე ვალიც კი, რომც საჭირო იყოს მისი აღება.

წითელ ფერს იდიომებში საშიშროების, საფრთხის მნიშვნელობასაც აქვს, რაც თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ისეთ გამოთქმებში, როგორცაა:

“red alert” – განგაშის გამაფრთხილებელი ნიშანი;

“red flag” – რაიმე, რაც რისხვას იწვევს; ეს გამოთქმა ასოცირდება კორიდაზე მატადორის მიერ ხარის გამოწვევა-განრისხებასთან წითელი მანტიის საშუალებით. აქედან გაჩნდა იდიომატური გამოთქმა – red flag /red before a bull (ის, რასაც ყოველთვის იწვევს ვინმეს მძვინვარებას);

“Red List” – მაღალი საშიშროების სამთავრობო სია;

“see the red light” – საფრთხის წინათგრძნობა;

“give a red light” – ვინმეს გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ საშიშია დასახული გეგმის რეალიზება;

წითელი ფერი დაკავშირებულია აქტიურ მამაკაცურ საწყისთან. ეს არის სიცოცხლის, ცეცხლის, ომის, ენერჯის, აგრესიის, საფრთხის, იმპულსის, ემოციის, ვნების, სიყვარულის, სიხარულის, სადღესასწაულო განწყობის, სასიცოცხლო ძალის, ჯანმრთელობის, ფიზიკური ძალისა და ახალგაზრდობის ფერი (Oxford 1995).

წითელი ფერის სიმბოლიზში ნეგატიური ასპექტიც არის – ამ ფერს ზოგჯერ ბოროტებასთან აკავშირებდნენ, განსაკუთრებით ეგვიპტურ მითოლოგიაში, სადაც წითელი ფერი ომის დემონის – სეთის ფერი იყო. როგორც აღვზნების ფერი, წითელი ასევე დაკავშირებულია სექსის სფეროსთან, მაგალითად, “The red light street / district” (წითელი ფანრების ქუჩა, რომელიც საროსკიპოებით და პროსტიტუციით არის ცნობილი) უნივერსალიას წარმოადგენს, რადგანაც ამ ტიპის ქუჩები თითქმის ყველა ქვეყანაში მოიპოვება. (“scarlet woman” – მეძავი ქალი; მაგალითად, “The scarlet woman was seen by St. John in a vision.”) თუმცა, უმეტესად, ამ ფერის სიმბოლიზში პოზიტიურ ხასიათს ატარებს (Oxford 1995).

პირველყოფილ რიტუალებში ჟანგმიწას (წითელ მინერალურ საღებავს) იყენებდნენ იმისთვის, რომ მკვდრებისთვის „სიცოცხლე მიეცათ“, გარდაცვლილი ხალხი სიცოცხლითა და ენერჯით სავსე გამოესახათ. ქრისტიანობაშიც კი, სადაც წითელი ფერი, ძირითადად, ქრისტეს თავგანწირვის სიმბოლოა, ის, ასევე, იყო უფლის ჯარის-

კაცების – ჯვაროსნების, კარდინალებისა (“red hat” – კარდინალის სიმბოლო, კარდინალის ქუდი) და მომლოცველების ემბლემის ფერი.

დღესასწაულები და წმინდანთა დღეები კალენდარში წითელი ფერით არის აღნიშნული, რაც საფუძვლად დაედო “red letter day” (სადღესასწაულო დღე) გაჩენას. მნიშვნელოვანი, სასიხარულო მოვლენა, ანუ „წითელი“ სიხარულის სიმბოლოს წარმოადგენს: “to paint the town red” – ქალაქის მორთვა სადღესასწაულო გარემოს შესაქმნელად. ჰორნბის ლექსიკონი "სიტყვის "red" რანდენიმე მნიშვნელობას იძლევა, მათ შორის „სისხლის, ადამიანის ტუჩების, ენის, შემოდგომის ფოთლების ფერის; ტელეფონის ჯიხურების სიმბოლური ფერი დიდ ბრიტანეთში“ (Hornby 1982). წითელი ასევე გვევლინება კომუნიზმის, რევოლუციის და საბჭოთა მმართველობის სიმბოლოდ, რაც აისახება ფრაზეოლოგიებში:

“better red than dead” – ცივი ომის დროინდელი გამოთქმა, რომ *უმჯობესია კომუნისტური პარტიის კონტროლქვეშ იყო, ვიდრე ატომურ ომში დაიღუპო;*

“to red bait” – *ვინმეს დადანაშაულება და გაკიცხვა კომუნისტური იდეებისადმი ერთგულების გამო;*

“reds under beds” – *სახუმარო გამოთქმა კომუნიზმის დადგომის მოჩვენებითი საფრთხის შესახებ;*

ინგლოფონურ კულტურაში წითელ ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. წითელი დროშა ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში მე-17 საუკუნიდან არსებობს და ბრძოლაში გამოწვევის სიმბოლოს წარმოადგენს. ინგლისის ეროვნული ემბლემა – წითელი ან ალისფერი ვარდი: როდესაც მე-15 საუკუნეში ინგლისის ტახტისთვის ომის შემდეგ ლანკასტერებსა და იურკებს შორის მეტოქეობა დინასტიებს შორის ქორწინებით დასრულდა, წითელი ვარდი (ლანკასტერების ემბლემა) ინგლისის ეროვნულ ემბლემად იქცა. ინგლისში ავტობუსები და ტელეფონის ჯიხურები წითელია, ინგლისელი ჯარისკაცების მუნდირიც წითელი ფერისაა (red coat). ნაპოლეონი კი ამბობდა: „წითელი – ეს ინგლისის ფერია. მისი დანახვაც კი არ შემიძლია“. მთლიანობაში, მთელი საზოგადოებისთვის წითელი ფერი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი და სიმბოლურია.

#### 4.3 ლურჯი ფერის "blue" სიმბოლიკა

წარმართები საკრალურ ცეცხლს ფერთა ცალკეულ უბნებად ყოფდნენ (წითელი, ყვითელი, თეთრი, ლურჯი), რომლებიც ცეცხლის თავისებურ ჩაკრებს (უბნებს) წარმოადგენდნენ. ყველაზე მაღალი უბანი იყო ლურჯი, რომელიც ქვეცნობიერის, სულის სხეულისგან განცალკევების სიმბოლოდ განიხილებოდა.

უხსოვარი დროიდან ლურჯი ჰაერთან და წყალთან ასოცირდება. ადამიანებს წარმოდგენილი ჰყავდათ ღმერთები, რომლებიც ზეცაში ცხოვრობდნენ და ცისფერი მანტიები ემოსათ, მოგვიანებით ამ წარმოდგენამ ქრისტიანულ რწმენაში ჰპოვა ასახვა, რო-დესაც ლურჯი ფერი დაცვის, მფარველობის სიმბოლო გახდა.

ლურჯი – ასევე უკავშირდებოდა უსასრულობას, იმ სამყაროს, სადაც მხოლოდ ღმერთები ან გარდაცვლილთა სულები იმყოფებოდნენ. მიუწვდომელი სიმაღლე, ზეცა, სიცივე, ბოროტება, სიკვდილი, გაქრობა: მოძრაობა და ბგერები „იკარგება“ ლურჯში, მასში „იძირება“. **“a bolt from the blue” / “a thunder bolt from a blue sky”<sup>5</sup> – “a sudden unexpected event, esp. one of an unpleasant or catastrophic nature; surprise or shock.** *“ციდან დაქუხება*

**“go blue (in the face)” – appear bluish because of sluggish circulation brought on by cold.**

**“in a blue mood” – to be sad or miserable.**

**“to feel blue/to have the blues” – melancholic.**

ლურჯი ფერი უსასრულობის, მარადისობისა და ჭეშმარიტების, ერთგულების, რწმენის, სიწმინდის, უმანკოების, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების სიმბოლოა. ეს ის ასოციაციებია, რომლებიც ბევრ ძველ კულტურაში წარმოიქმნა და საერთო აზრს გამოხატავს იმის შესახებ, რომ ზეცის ლურჯი ფერი ყველაზე მშვიდი და ნაკლებად „მატერიალურია“ სხვა ფერთა შორის. ღვთისმშობელსა და ქრისტეს ხშირად გამოსახავენ ლურჯ ფერებში შემოსილს. ეს ფერი ბევრი ისეთი ზეციური ღმერთის ატრიბუტია, როგორც არის ამონი ძველ ეგვიპტეში, ბერძნული ზევსი, ჰერა (Oxford 1995).

ასოციაცია ცისფერ სისხლსა და არისტოკრატას ორ ფაქტორს ეფუძნება: ა) ის მომდინარეობს შუა საუკუნეებში ფრანგი არისტოკრატების მიერ ხშირად გამოყენებადი ფიციდან – „ღვთის სისხლით“, სადაც „ღვთის“ ნაცვლად ისინი გამოიყენებდნენ

<sup>5</sup> <https://idioms.thefreedictionary.com/a+bolt+from+the+blue>

უფემიზმს „ცისფერი“, რის საფუძველზეც დროთა განმავლობაში წარმოიშვა სლენგური გამოთქმა *un sang-bleu* – „ცისფერი სისხლი“; ბ) იდიომატურ გამოთქმებს „**Blue blood**», „**to have blue blood**» აქვს უფრო თვალსაჩინო ახსნაც – არისტოკრატებს უფრო ღია ფერის თხელი კანი აქვთ, ამიტომ მათი ვენები უფრო შესამჩნევია.

**Blue**-ს კიდევ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა – მელანქოლია – ჩანს ფრაზეოლოგიზმებში, სადაც "blue"-ს აქვს ცუდი განწყობის, სევდის, ნალველის მნიშვნელობა.

**in a blue mood/to feel blue/ to have the blues/ blue devils** – ნალვლიანად, უბედურად თავის გრძნობა; მელანქოლიაში ყოფნა;

**“to cry the blues”** – ცუდ განწყობაზე ყოფნა, დათრგუნულად ყოფნა;

**“blue study”** – სევდიანი, ბნელი აზრები;

**“to be in the blues”** – დათრგუნულად ყოფნა;

**“to give somebody blue”** – ვინმესთვის გუნების გაფუჭება, ვინმეს დანალვლიანება;

სავსებით შესაძლებელია, რომ მოცემული გამოთქმები მომდინარეობდეს ჩრდილოეთ ამერიკაში აფრიკელი მონების სალამოს სევდიანი სიმღერებიდან. თუმცა ნალველის გარდა "blue" შეიძლება გალიზიანების, სიბრაზის, შიშის სიმბოლოც იყოს:

**“blue fit”** – უკიდურესი გალიზიანება და ჯავრი;

**“blue funk”** – შიშისა და მღელვარების მდგომარეობა;

**“to light the blue touch paper”** – ვინმეს მრისხანების, გალიზიანების გამოწვევა;

**“blue fear”** – პანიკა.

*“Blue”* არის მიუწვდომელის, შეუცნობელის, შორეულის, გაუგებარის სიმბოლო:

**“blue-bird”** (*ლურჯი ფრინველი*) გამოთქმაც კი, რომელიც მ. მეტერლინკის იმავე სახელწოდების პიესის შემდეგ წარმოიშვა, ბედნიერების სიმბოლოს წარმოადგენს და ის, ვინც ამ ფრინველს იპოვის, ბედნიერი იქნება, ყველაფერი ეცოდინება და ყველაფერს დაინახავს, მაგრამ ბავშვებმა მაინც ვერ იპოვეს ის, ეს კი ნიშნავს, რომ *ლურჯი ფრინველი* მიუწვდომელი და შეუცნობელია.

Blue ზოგჯერ კორნოგრაფიის, უხამსობის, ასევე ცენზურის ან უხამსობის აკრძალვის სიმბოლოა:

**“blue film/movie”** – ფილმი გულახდილი სექსუალური სცენებით (ზედმეტად გულახდილი სცენების ბუნდოვანი გამოსახულების გამო);

“blue pencil” – ცენზორი;

“blue law” (colloq.) – კანონი, რომელიც არეგულირებს ზნეობას, სპირტიანი სასმელების მიღებას, კვირა დღეს მუშაობას და ა. შ.

Blue არის დიდი ბრიტანეთის კონსერვატული პარტიის სიმბოლო, ხშირად ლეიბორისტული პარტიის სიმბოლოს – **yellow** საპირისპიროდ, რაც აისახება ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, როგორც არის:

“true blue” – კონსერვატორების პრინციპების ერთგული;

“to vote blue” – ხმის მიცემა კონსერვატორული პარტიისთვის;

“blue rinse” – მოცისფრო ელფერის მქონე თმის საღებავი, რომელიც პოპულარულია კონსერვატორების პარტიის წევრ ქალბატონებში;

ფრაზეოლოგიზმი “blue stocking” (*ლურჯი წინდა* – პედანტი ქალი, მეცნიერი ქალი, შინაბერა) არის პირადი ცხოვრების უარყოფის, უსახურობის, ქალურობისა და მომხიბვლელობის არქონის სიმბოლო. თავდაპირველად, მე-18 საუკუნეში *ლურჯი წინდებს* ლიტერატურულ წრეებში გაერთიანებული მამაკაცები ატარებდნენ, მოგვიანებით გამოთქმა მიესადაგა ქალებს, რომლებსაც პრეტენზია ჰქონდათ განს-წავლულობაზე, განათლებულობაზე, ლიტერატურულ გემოვნებაზე და რომლებიც ლიტერატურულ წრეებში გამართულ შეხვედრებზე ლურჯი წინდებით მოდიოდნენ. მნიშვნელობის გადატანის მთავარი ნიშანი იყო ამ ქალებისთვის ვაჟკაცობის, უფრო ზუსტად კი მათში ქალურობის არარსებობის აღნიშვნა.

#### 4.4 მწვანე ფერის "green" სიმბოლიკა

არსებობს სამი მიდგომა მწვანე ფერის სიმბოლიკასთან დაკავშირებით.

ა) მწვანე ფერს უპირისპირებდნენ წითელს როგორც ქალურ საწყისს მამაკაცურს. ამასთან, ითვლებოდა, რომ მწვანე ფერი წითლიდან წარმოიშვა. შესაბამისად, მწვანე განიხილება როგორც დაბადების და ქალის სიმბოლო, თუმცა ეს სიმბოლოური მნიშვნელობა არ დასტურდება ჩვენს მიერ მოძიებულ ფრაზეოლოგიზმებით.

ბ) მწვანე – ოკეანის მიუწვდომელი სიღრმეების ფერი, განიხილება ზღვისა და წყლის სიმბოლოდ. ეს ფერი აღნიშნავს განზანზავს, სულიერ სისპეტაკეს, განწმენდას. თუმცა არც ეს სიმბოლიკა არის წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმებით.

გ) მათგან განსხვავებით, ვეუბიცკას მოსაზრება იმის შესახებ, რომ 'მწვანე' თავის რეფერენციაში შეიცავს მცენარეულობის კონცეპტს და მასთან დაკავშირებულ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ქორფა, ნორჩი, უჭუნობი, დასტურდება შემდეგი მაგალითებით:

**“green as grass”** – *“naive, inexperienced; easily deceived.”* *ჯეჯილივით ქორფა*

**“green belt”** – *“an area of fields and woodlands around a town.”* *მწვანე სარტყელი*

**“sb's memory is green”** – *“sb. is not forgotten after death”*; *ცოცხლობდეს ვინმეს მოგონება;*

"მწვანე" ასევე იძენს გაფურჩქვნის, აყვავების მნიშვნელობას, როგორც ეს ამ ფრაზეოლოგიზმში ჩანს: **“flourish like the green bay tree”** – *“prosper; be conspicuously successful* (the implication often being that flourishing is temporary or undeserved”).

#### 4.5 ყვითელი ფერის ("yellow") სიმბოლიკა

ყვითლის მდიდარი იდიომატიკა თავის კვალს ამჩნევს მის გამოყენებას და რიგ შემთხვევებში სხვადასხვაგვარი ელფერის კონოტაციებს წარმოქმნის. ეს ფერი ანვითარებს მრავალფეროვან ფრაზეოლოგიას:

**“yellow card”** – *“used by referees to warn football players that they have violated the rule.”*  
*ყვითელი ბარათი სპორტში.*

**“yellow flu”** – *“organised absence (of people in yellow busses (pupils)) on the pretext of sickness.”* *სკოლის მოსწავლეების ორგანიზებული "შატალო".*

**“Yellow Pages”** – *“Classified directory of business, services, etc.”* *ბიზნესის, სერვისის და ა.ს. მიხედვით დიფერენცირებული ცნობარი*

**“the yellow press”** – *“the term given to newspapers which concentrate on printing sensational stories.”* *ყვითელი პრესა*

**“yellow belt”** – *ყვითელი ქამარი* *ძიუდოში*

**“yellow jersey”** – *შეჯიბრებების დროს ლიდერის ყვითელი მაისური*

**“yellow flag”** – *კარანტინის გამაფრთხილებელი დროშა*

**“yellow alert”** – *საჰაერო განგაშის ნიშანი (ცაში ნასროლი)*

**“yellow light”** – *შუქნიშანში გამაფრთხილებელი ყვითელი*

მრავალი მნიშვნელობა შეიძინა იდიომატურმა გამოთქმამ – **yellow belly**. ესენია:

- სიყვითლე (ავადმყოფობა)

- ყვითელი რასის წარმომადგენელი (ცენტრალური ამერიკელი, იაპონელი)
- ლესტერ-ნოტინგემის მატარებლები ბრიტანეთში
- მხდალი (Cf.: *Who says I'm yellow?*)

ამ სიტყვის უარყოფით შეფასებას განსაკუთრებით იმ შემთხვევებში აცნობიერებენ, როდესაც საუბარი ეხება ადამიანის გარეგნობას ან ჩაცმულობას: *yellow hair, yellow skin, yellow suit*. ბუნების მოვლენების ან მცენარეებთან მიმართებაში "ყვითელს" შესაძლოა, დადებითი შეფასებითი კონოტაცია ჰქონდეს (*yellow leaves, yellow fields*); ან არ იყოს დაკავშირებული შეფასებასთან (*yellow sun, yellow sand*).

როდესაც ლაპარაკია დიდი ბრიტანეთის ძირითადი პოლიტიკური პარტიების სიმბოლურ ფერებზე, იგი შეიძლება დაუპირისპირდეს სიტყვას AZURE: **Yellow** – ლეიბორისტული პარტიის სიმბოლო; **Azure** – კონსერვატიული პარტიის.

#### 4.6 რუხი ფერის ("grey") სიმბოლიკა

"რუხი" ანგლოფონურ კულტურაში უფერულობის, გაურკვევლობის სიმბოლოა: „**All cats are grey in the dark**” (proverb) – სიბნელეში გარეგნობას არ აქვს მნიშვნელობა.

“**a grey area**” – რუხი ასევე ფრაზეოლოგიური მეტონიმიაა, რომელიც ახდენს დაუზუსტებელი ადგილების იდენტიფიკაციას ცოდნის რაიმე სფეროში. მაგალი-თად, “*This is a grey area in the Law that requires immediate attention; Grey areas in the legislation have still to be clarified.*”

რუხი ფერი ხშირად გამოიყენება სიმბოლური მნიშვნელობით – ჩრდილში ყოფ-ნა, რომელიც რეალიზდება მეტონიმურ ფრაზეოლოგიზმებში: “**grey eminence**” – „რუხი კარდინალი“; *ადამიანი, რომელიც ჩრდილში დგას, მაგრამ რომლის ხელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი ძალაუფლება*; “**grey market**” – *ჩრდილოვანი ბაზარი; ფასი-ანი ქაღალდებით ვაჭრობა მანამ, სანამ მათი ფასი ოფიციალურად გამოცხადდება*.

"grey"-ს ასევე აქვს ხანდაზმულობის, მოხუცებულობის მნიშვნელობა, რის გამოც შესაძლოა იყოს სიბერის, დაბერების პროცესის სიმბოლო. ეს მნიშვნელობა აერთიანებს შემდეგ იდიომატურ გამოთქმებს: “**grey-beard**” / “**grey-headed**” / “**grey hair**” = *მოხუცი*; „**to turn grey**” = *გაჭაღარავება, დაბერება*. “**the grey power**” = ხანდაზმულობის უფლებები;

რუხი ფერი გვევლინება ადამიანის ტვინის, გონიერების და ინტელექტის სიმბოლოდ. ეს მნიშვნელობა ეფუძნება თავის ტვინის ფერს, რომლის მეტაფორიზაციის შედეგად იქმნება მეტონიმიური ფრაზა “**gray matter/grey cells.**” აგატა კრისტის დეტექტივი, ჰერკულ პუარო, ხშირად იყენებს ფრაზას – “*Use the little gray cells for solving a crime.*” არსებობს იდიომა “*gray page*”, რომელიც ტექსტით გავსებული გვერდის სიმბოლოა.

და ბოლოს, როგორც ფერფლის (ან მტვრის) ფერი, *რუხი* ასოცირდება სიკვდილთან, გლოვასთან და მონანიებასთან. ქრისტიანულ რელიგიურ თემებში ის მონანიე-ბის სიმბოლოა (Cf.: Ash Wednesday).

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სხვადასხვა ფერის კონვენციონალური მნიშვნელობა გავლენას ახდენს ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. ამიტომ, საჭირო ხდება გამოვლინდეს ფერების მნიშვნელობების მეტაფორული პროეცირების სქემები, რასაც ეძღვნება ჩვენი ნაშრომის მესამე თავი.

### თავი III

## ფერთა აღნიშვნების შემცველ ფრაზეოლოგიზმთა კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები ინგლისურ ენაში

### §1. კოგნიტური მეტაფორა, როგორც ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის კონცეპტუალური წყარო

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ფერის კონვენციონალური (ანუ, საყოველთაოდ აღიარებული) მნიშვნელობები გავლენას ახდენს ფრაზეოლოგიური ერთეულების სემანტიკაზე, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. ამიტომ, ფერის კომპონენტის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობების წარმოქმნის ანალიზისთვის აუცილებელია მათში შემავალი ფერების მნიშვნელობების კონცეპტუალური მოდელების გამოვლენა, რაც შესაძლებელია კოგნიტური მეტაფორის თეორიის გამოყენებით (Lakoff & Johnson 1980).

პოეტური მეტაფორისგან განსხვავებით, რომელიც ავტორის ესთეტიკურ-კოგნიტური და სუბიექტური მოდალობის მატარებელია, კოგნიტურ მეტაფორაში გამოხატულებას ჰპოვებს "რაიმე მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა, რომელიც ეფუძნება წყარო და სამიზნე ცნებების იმ საერთო, ყველასთვის გასაგებ ნიშანთვისებებს, რომლებიც ღრმად არის გამჯდარი ენის მატარებელთა ცნობიერებაში“

(Lakoff & Johnson 1980: 34). ამით არის განაპირობებული ის, რომ კოგნიტურ მეტაფორას ერის გონის გამოვლინებად განიხილავენ. მკვლევართა აზრით, "ეროვნულ აღქმაში არსებობს კოგნიტური ანუ კონცეპტუალური მეტაფორა, რომელიც არ მოიპოვება მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ მის რეალობას ადასტურებს ენაში არსებული მეტაფორული გამოთქმები" (Kovecses & Szabo 1996: 24).

ჩვენს მიერ განხილული კოგნიტივისტების – ლაკოფის და ჯონსონის, კროფტის და კრუზის, კოვეჩეშის და ჟაბოს, მაკლორის, მაკკორმაკის და სხვათა გამოკვლევებზე დაყრდნობით და მათში შემუშავებული კოგნიტური მეტაფორების კონცეპტუალური სქემების ანალოგიით, ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ფერთა აღნიშვნის შემცველი იდიომატური გამოთქმების ის კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები, რომელთა ბაზაზეც მათი მნიშვნელობა ყალიბდება. ბუნებრივია, ამ სქემების შედგენისას, ჩვენთვის ამოსავალი იყო ფერთა ის სიმბოლური მნიშვნელობები და ეტი-მოლოგიური წარმომავლობა, რომლებიც ჩვენ წარმოვაჩინეთ ნაშრომის მეორე თავში.

## **§2. ძირითადი ფერების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიზმებში**

დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს სამაგისტრო კვლევას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ფერების შემცველი ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელების ინვენტარის დადგენაზე. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ გამოგვევლინა ძირითადი ფერების შემცველი ის საბაზისო სქემები, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებს მეტ-ნაკლებად გავრცელებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

### **2.1 წითელ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები**

სპეციალური ლიტერატურის განზოგადება გვიჩვენებს, რომ „წითელი“ ყველაზე მნიშვნელოვანი ფერია კაცობრიობის კულტურაში, რაც სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული: 1) წითელი პირველი ფერია ცისარტყელაში, რომელსაც სინა-თლის

ყველა სახეობას შორის მაქსიმალური ტალღის სიგრძე და მინიმალური ენერგია აქვს; 2) წითელი ასოცირდება სისხლთან, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია; 3) წითელი ასევე ასოცირდება ცეცხლის ფერ-თან, რომელიც ერთ-ერთ სტიქიას წარმოადგენს სამყაროში; 4) წითელი ფერი ადა-მიანის ცნობიერებაში აურაცხელ ასოციაციებსა და ემოციებს იწვევს, რომლებიც მრავალფეროვანი და საპირისპიროა – ეს არის მრისხანება და სირცხვილი, საფრთხე და სიხარული, სიყვარული და ვნება, მანკიერება, კომუნიზმი და კათოლიციზმი.

ყველა ეს ასოციაცია ასახულია მრავალრიცხოვან ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომელთა კონცეპტუალურ მეტაფორულ მოდელებსაც გთავაზობთ ქვემოთ.

### 1. RED MARKS IMPORTANCE

ამ კოგნიტური მეტაფორის არსებობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ წითელი ფერის საღებავისა და მელნის მიღება უწინ ძალიან რთული იყო და ამიტომ ეს საღებავი ძალიან ძვირი ღირდა. წითელ ფერს იყენებდნენ მნიშვნელოვანი დღეების აღსანიშნავად კალენდარში, საეკლესიო დღესასწაულების ჩასაწერად, მონარქებისა და ეკლესიის მსახურთა ტანსაცმელში (მაგალითად, კათო-ლიკური ეკლესიის უმაღლესი მღვდელმთავრების სამოსში) და ცერემონიალური ნივთების შესაღებად. ამიტომ „წითელი“ ღირებულებით სიმბოლოდ იქცა.

### 2. RED MARKS HOLIDAY

ეს მეტაფორული მოდელი რეალიზდება ფრაზეოლოგიზმებში – **“a red letter day”**, რომლის ანტონიმური შესიტყვებებია – **“black-letter day”** ან **“black day”**. აშკარაა, რომ გამოთქმის – **“paint the town red”** (*ქალაქის მორთვა*) – მნიშვნელობა უფრო რთულია, ვიდრე დღესასწაულის. დღესასწაულის დროს ადამიანები რთავენ სახლს და ქუჩას, რათა ხაზი გაუსვან მხიარულებისა და სიხარულის ატმოსფეროს, შეიქმნან და სხვებსაც შეუქმნან ამაღლებული განწყობა. ამ კომპონენტების და შესაბამისი ასოციაციების აღძრას მეტყველი სუბიექტი ახერხებს ფრაზაში წითელი ფერის კონცეპტის ჩართვით – ეს არის სიხარულისა და დღესასწაულის ფერი; ყველაზე პოპულარული ფერია, რომელიც სახლებისა და ქუჩების მოსართავად გამოიყენება.

3. **RED STANDS FOR DANGER** - გამოხატულებას ჰპოვებს ისეთ გამოთქმებში, როგორცაა: **“red alert”** – განგაშის გამა-ფრთხილებელი ნიშანი; **“red flag”** – *რაიმე, რაც*

რისხვას იწვევს; red before a bull (ის, რასაც ყოველთვის იწვევს ვინმეს მძვინვარებას); „Red List” – მაღალი საშიშროების სამთავრობო სია; “see the red light” – საფრთხის წინათგონობა; “give a red light” – ვინმეს გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ საშიშია დასახული გეგმის რეალიზება;

4. RED STANDS FOR CATHOLIC CHURCH - ამ მოდელს ეფუძნება ფრაზეოლოგიური გამოთქმა – “the red hat/cap”, რომელიც კარ-დინალის მეტონიმიურ იდენტიფიკატორად გვევლინება კათოლიკურ სამყაროში.

5. RED STANDS FOR BUREAUCRACY - ბიუროკრატიულობის ეს მეტონიმიური აღნიშვნა იდენტიფიცირებულია იდიომა-ტურ ფრაზაში – “red tape” (ბიუროკრატიული გაჯანჯლება). მაგალითად, We are sick of the red tape = დავიღალეთ ბიუროკრატით, ანუ საქმის გაჯანჯლებით. ამ იდიომის წარმოშობა ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ოფიციალური დოკუმენტების წითელი ლენტით შეკვრის ჩვეულებასთან.

6. RED STANDS FOR COMMUNISM. - ეს კონცეპტუალური მეტაფორა რეალიზდება ფრაზეოლოგიზმებში: “better red than dead” (ცივი ომის დროინდელი ფრაზა – უმჯობესია კომუნისტების მხარეზე ყოფნა, ვიდრე ატომური აფეთქებით დაიღუპო); “to redbait” (გაკიცხვა კომუნისტური იდე-ებისადმი ერთგულების გამო); “red flag” (წითელი დროშა, რევოლუციის სიმბოლო); “reds under beds” (საფრთხე კომუნისტებისგან; ყველგან ისინი გელანდებოდეს).

7. RED IS HOT - კონცეპტუალური მეტაფორა “წითელი ცხელია” გამოხატულებას ჰპოვებს ემოციუ-რობის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ორგანიზმის ფიზიოლოგიურ რეაქციასთან (სირცხვილის, შეცბუნების განრისხების დროს), ასევე ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან, რომელიც ასოცირდება რაიმე უღირსთან, უხამსთან, სამარცხვინოსთან. მაგალითად: “go red (in the face)” / “have a red face”; “red as a beetroot/fire”; “go blush / red”; “have a red face”; “see red” (მოულოდნელად გაბრაზება ან გაღიზიანება);

8. RED IS COOL - ამ მეტაფორაში წითელის კონცეპტუალური მნიშვნელობა საპირისპირო მიმართუ-ლებით იცვლება და "ცივის" მნიშვნელობას იძენს. კოგნიტური

მეტაფორის ეს მოდე-ლი ასოცირდება ასტრონომიულ სხეულებთან და იდიომატურ იდენტიფიკატორებად გვევლინება ისეთ ფრაზებში, როგორიცაა **“red dwarf”** და **“red giant”**. ასტროლოგიაში, **“red dwarf”** (წითელი გუგა) ეწოდება პატარა ზომის მკრთალ და ცივი ნათების ვარსკვლავს, რომელიც არსებობის მილიარდობით წელს ითვლის, რის გამოც სიმ-ხურვალე დაკარგული აქვს. მისგან განსხვავებით, **“red giant”** (წითელი გოლიათი) უკვე დიდ მოკაშკაშე ვარსკვლავს აღნიშნავს, რომლის ტემპერატურაც მზის ტემპერატურაზე გაცილებით დაბალია.<sup>6</sup>

9. **RED STANDS FOR LACK OF MONEY** - ეს კონცეპტუალური მეტაფორა რეალიზებულია გამოთქმებში: **“bleed red ink”** – მწვავე ფინანსური პრობლემების ქონა; **“in the red”** – ვალის მართება სხვა პირის ან ორგანიზაციის მიმართ; **“into the red”** – ვალში ჩავარდნა; **“out of the red”** – ვალის გადახდა; **“not a red cent”** – არ აიღო მცირე ვალიც კი, რომე საჭირო იყოს მისი აღება.

---

<sup>6</sup> <https://schoolworkhelper.net/>

## მეტაფორული მოდელები

ანალოგიურად შეგვიძლია განვიხილოთ იდიომები, რომლებიც შეიცავს კონ-ცეპტს "blue" და გამოვიყვანოთ მათი წარმომქმნელი კონცეპტუალური მეტაფორები. BLUE არის შემდეგი კონცეპტუალური მეტაფორებისა და მეტონიმების კომპონენტი:

1. **BLUE STANDS FOR SKY (The part for the whole metonymy) "the blue" = ცა; "from the blue" = როგორც მეხი მოწმენდილ ცაზე; "the blue blanket" = ლურჯი ცა (იდიომატური მეტონიმია).**

2. **BLUE STANDS FOR SEA / OCEAN (The part for the whole metonymy) "the blue" = ზღვა, ოკეანე; "the blue water" = გაშლილი ზღვა; the open sea.**

3. **BLUE STANDS FOR MELANCHOLY/DEPRESSION - "blues" = (სევდა, მელანქოლია); "in a blue mood", "to feel blue", "to have the blues", "blue devils" = (სევდიანი); "cry the blues" = (უქმურ განწყობაზე ყოფნა; დეპრესიაში ყოფნა); "to give smb blue" = დაასევდიანო ვინმე; "blue study" = პირქუში ფიქრები; "baby-blue" = მშობიარობის შემდგომი დეპრესია.**

4. **BLUE STANDS FOR ANXIETY/ANGER - "blue funk" = შიშის, გაღიზიანების მდგომარეობა; "blue fit" = ძლიერი გაღიზიანება; "blue in the face" = ძალზედ გაბრაზებული, ემოციურად აღვზნებული; "light the blue touch paper" = მოიმოქმედო ისეთი რამ, რაც გამოიწვევს ვინმეს გაბრაზება-გაღი-ზიანებას.**

5. **BLUE STANDS FOR UNEXPECTEDNESS - "bolt from the blue" = მეხის გავარდნასავით; "by all that's blue!" = ემოციური წამოძახილი – შეუძლებელია!; "out of a clear blue sky/ out of the blue" = მოწმენდილ ცაზე დაქუხება; რაღაც მოულოდნელის მოხდენა.**

6. **BLUE STANDS FOR ABSTRACT THINGS (The part for the whole metonymy)** მოცემულ კონცეპტუალურ მეტონიმიაში ფერის "blue" სიმბოლიკა რეალიზდება როგორც რაღაც მიუწვდომელის, შორეულის, შეუცნობელის. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სიმბოლო, ლურჯი ფერის ზეცასთან უძველესი ასოციაციებიდან იღებდეს სათავეს.

“blue-sky” = სუფთა თეორია, აბსტრაქცია; “into the wide blue yonder” = შორეულ, უცნობ, იდუმალეობით სავსე ადგილში მოგზაურობა.

7. **BLUE STANDS FOR MORALITY/OBSERVANCE OF MORALITY - “blue law”** = რელიგიური კანონი, რომელიც არეგულირებს ზნეობრივ ნორმებს და კრძალავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა მაგალითად, სპირტიანი სასმელების მიღება, კვირა დღეს მუშაობა და ა. შ.<sup>7</sup>; “**Blue Monday**” = სამუშაო კვირის პირველი დღე, რომელიც დეპრესიულია უქმე კვირის რელაქსაციის შემდეგ. ეტიმოლოგიურად ის უკავშირდება ეკლესიური კანონების დაცვას<sup>8</sup>; “**Blue Nose**” = მორალის დამცველი; ზედმიწევნით პურიტანელი; “**to blue-pencil**” = *ტექსტის* რედაქტირება შემოკლების მიზნით; ცენზორი.

#### 8. **BLUE STANDS FOR OBSCENITY**

ლურჯი/ცისფერი გარყვნილობის მაჩვენებელია ზოგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: “**blue film/movie/picture**” = *ფილმი სექსუალური სცენებით*; “**blue humour (joke)**” = უხამსი, გარყვნილი ხუმრობა / იუმორი); “**make the air blue**” = *ჰაერის დაბინძურება ლანძღვა-გინებით*; “**to swear, to curse**” = *ლანძღვა-გინება; უხამსი გამოთქმა*.

#### 9. **BLUE STANDS FOR HOMOSEXUALITY**

ცისფერი ჰომოსექსუალიზმის აღმნიშვნელია, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ფრაზეოლოგიზმებში: “**blue boy**” = *ჰომოსექსუალი*; “**blue love**” = *ჰომოსექსუალური ურთიერთობა*.

10. **BLUE IS SAFE** - ლურჯი საიმედოობის აღმნიშვნელია. “**Blue chips**” = *ყველაზე საიმედო და მომგებიანი კაპიტალ-დაბანდება შეერთებული შტატების ისეთი კორპორაციების ძვირადღირებულ აქციებში, როგორცაა Apple, American Express, Boeing, Chevron, Coca-Cola და სხვები*.<sup>9</sup> მოცემული იდიომატური მეტონიმია ასოცირდება პოკერის სამი ფერის – თეთრ, წითელ და ლურჯ ჩიპებთან, რომელთა შორისაც ლურჯი ჩიპები ყველაზე ძვირადღირებულია (იქვე).

<sup>7</sup> <https://www.dictionary.com/browse/blue-law>

<sup>8</sup> <https://www.dictionary.com/browse/blue-monday>

<sup>9</sup> [https://en.wikipedia.org/wiki/Blue\\_chip\\_\(stock\\_market\)](https://en.wikipedia.org/wiki/Blue_chip_(stock_market))

## 2.3 თეთრ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები

სინათლე და სიბნელე, რომლებსაც უკავშირდება თეთრის და შავის ცნებები, სხვადასხვა ენის როგორც სემანტიკაში, ასევე პრაგმატიკაში უძველესი დროიდან უპირისპირდებიან ერთმანეთს, თანაც ამ დაპირისპირებაში ჩართულია ემოციური შეფასების კომპონენტიც: სინათლესთან ასოცირდება კეთილი საწყისი, სიბნელესთან კი – ბოროტი. უეჭველია, რომ ეს ძველი მეტაფორა სემანტიკურ უნივერსალიას წარმოადგენს, რაც შესაბამის ასახვას ჰპოვებს კონცეპტუალურ მეტაფორებსა და მათ ბაზაზე შექმნილ ფრაზეოლოგიზმებში. ქვემოთ გთავაზობთ თეთრი ფერის შემცველი კონცეპტუალური მეტაფორების მოდელებს.

1. **WHITE STANDS FOR LIGHT** - კონცეპტუალური მეტაფორა "თეთრი სინათლეა" ასახვას ჰპოვებს ისეთ იდიომატურ იდენტიფიკატორში, როგორიცაა **“white hole”** = *თეთრი ხვრელი გალაქტიკაში, საიდანაც წარმოიქმნება სინათლე*. (მისი საპირისპიროა **“black hole”**, *შავი ხვრელი, რომელიც ყველაფერს შთანთქმავს, რაც მის რადიუსში მოხვდება*).

2. **WHITE IS INNOCENT / GOOD**. - "თეთრი უმანკობაა/თეთრი კარგია". ამ კონცეპტუალური მეტაფორას ეფუძნება შემდეგი მრავალი იდიომატური გამოთქმა. **“white bird”** = *სინდისი*; **“white hands”** = *უმანკობა; სუფთა ხელები; მორალური სისუფთავე*; **“white magic”** = *სიკეთის მქნელი თეთრი მაგია, ჯადოსნობა* ( $\neq$  **“black magic”**); **“whited sepulchre”** = *ფარისეველი, ვინც თავს ღვთისმოსავად აჩვენებს, მაგრამ რეალურად არ არის ასეთი*; **“white sheep”** = *ნორმა-ლური ქცევის და მორალის ადამიანი, არცთუ ისე ნორმალური ხალხის ჯგუფში* ( $\neq$  **“black sheep”**); **“whiter than white”** = *უზადო, უნაკლო*; **“lily white”** = *ძალიან სუფთა და სათუთი*; **“whitewash”** = *შეცდომის ან ცუდი საქციელის დამალვის მცდელობა სასჯელის თავიდან აცილების მიზნით*.

3. **WHITE IS MORAL** - ეს კოგნიტური მეტაფორა გამოხატულებას ჰპოვებს ისეთ შესიტყვებებში, როგორიცაა **“white knight”** = *(ზღაპრებში – თეთრი რაინდი, მხსნელი)*; *პიროვნება ან კორპორაცია, ვინც ფინანსური გაჭირვებიდან იხსნის სხვა ორგანიზაციას მასსი კაპიტალის ჩადებით ან ყიდვით*. **“white lie”** = *კეთილი განზრახვით თქმული ტყუილი*.

4. **WHITE IS HOT** - ამ კოგნიტურ მეტაფორაში თეთრი ფერი წითლის საპირისპირო მნიშვნელობით გვევლინება ისეთ მეტონიმურ იდენტიფიკატორებში, როგორიცაა **“white dwarf”** = თეთრი ჯუჯა. ამ სახელით აღნიშნავენ ძალიან მკრთალ, გაქრობის ბოლო სტადიაში მყოფ ვარსკვლავს ( $\neq$  **“red dwarf”, “red giant”**); **“white heat”** = მაღალი ტემპერატურა, რომელზეც მეტალი თეთრდება; **“white-hot”** = (მეტალთან დაკავშირებით) სითეთ-რემდე გახურებული, გავარვარებული ( $\neq$  **“red-hot”, “white heat”**).

5. **WHITE STANDS FOR ABSENCE OF DANGER** - **“white alert”** = განგაშის დასრულების სიგნალი. ( $\neq$  **“red alert”** = წითელი მაშხალა, საბრძოლო მზადყოფნის ნიშანი; **“yellow alert”** = საჭაერო განგაში).

6. **WHITE STANDS FOR FEAR / ANGER** - ანგლოფონურ კულტურაში თეთრი ფერი სხვადასხვაემოციებთან ასოცირდება. **“white at the lips”** = ტუჩებ გათეთრებული (შიშიგან); **“white feather”** = თეთრი ბუმბული - სიმხდალის, შიშის, გაუბედაობის სიმბოლოა; **“white flag”** = თეთრი დროშა დანებების და დამორჩილების სიმბოლო; **“white as a ghost/white as a sheet/white as chalk”** = შიშისგან გათეთრებული; **“white at the lips”** = ძალზედ გაბრაზებული.

7. **WHITE STANDS FOR SNOW (the part for the whole metonymy)** - **“white Christmas”** = თოვლი შობის დროს; **white ice** = გრანულირებული ყინული, რომელიც წარმოიქმნება თოვლისგან (see **“black ice”; “blue ice”**); **“whiteout”** = ქარბუქი.

8. **WHITE STANDS FOR GOOD FORTUNE (the part for the whole metonymy)** - **“white boy” / “white-headed boy”** = (arch.) ფავორიტი; **“white forehead”** = მიმზიდველი და პოპულარული ადამიანი; **“white hen's chick”** = იღბლიანი ადამიანი; **“white hope”** = იმედის მომცემი ნიჭიერი ადამიანი.

## 2.4 შავ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები

### 1. BLACK STANDS FOR LACK OF COLOUR / BLACK IS DARKNESS

შავი, ისევე როგორც თეთრი, სპეციფიკური ფერია. იგი დაკავშირებულია სინათლის ცნებასთან. სინათლის არ-არსებობა ვლინდება კონცეპტუალური მეტაფორის ამ სქემაში, რომელშიც მოცემულია როგორ აღიქვამს ადამიანი შავ ფერს ფიზიოლოგიურად.

როგორც აღვნიშნეთ თეორიულ თავში, "შავი" ფერიც კი არ არის (არ არის „ფერა-დი“ ფერი), ეს არის სინათლის არარსებობა, სიბნელე. შავის ეს ცნება გამოხატულებას ჰპოვებს მთელ რიგ ფრაზეოლოგიზმებში: **“black light”** = ულტრაიისფერის ტიპის უხილავი რადიაცია; **“black and white”** = შავ-თეთრი, შავ-თეთრ ფერში; **“blackbody”** = შავი სხეული, რომელიც შთანთქავს ყველა დასხივებას; **“the black hole”** = სამყაროს შავი ხვრელი, რომელიც შთანთქავს ყველაფერს; **“black out”** = გონების დროებით დაბინდვა; ფარდები, რომლებიც სინათლეს არ ატერებს.

2. **BLACK IS IMMORAL / ILLEGAL** - კონცეპტუალური მეტაფორა – შავი ამორალურია/არაკანონიერია – რეალიზდება მთელ რიგ გამოთქმებში: **“blackmail”** = შანტაჟი / შანტაჟირება ფულის გამოძალვის ან რაიმის მიღწევის მიზნით; **“black market”** = შავი ბაზარი; **“black mist”** = კორუმპირებული ბიზნესი ან პოლიტიკა; **“black lie”** = გამიზნული, ბოროტი ტყუილი (ანტ. **“white lie”** - თეთრი, კეთილი, უბოროტო ტყუილი).

3. **BLACK STANDS FOR UNHAPPINESS** - **“black outlook”** = უბედური; **“black ox”** = უიღბლობა (E.g.: *“The black ox has trod on his foot.”* ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, შავ ხარებს მსხვერპლად სწირავდნენ პლუტონს და მის მსგავს ღვთაებებს.

4. **BLACK STANDS FOR DISSAPPROVAL** - **“black mark”** = ნაკლის, უარყოფითი თვისების აღმნიშვნელი ნიშანი ვინმეს გვარის გასწვრივ; **“black ball”** = ხმის მიცემა რაიმის წინააღმდეგ ან უარის თქმა ვინმეს წევრად მიღებაზე კერძო ორგანიზაციაში.

5. **BLACK STANDS FOR ANGER** - **“black look”** = გაბრაზებული, დაბღვერილი გამოხედვა; **“black mood/to be in black mood”** = გაბრაზებული; ცუდ განწყობაზე ყოფნა; **“to be in one's black books”** = ვინმეს შავ სიაში ყოფნა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის გაბრაზებულია შენზე.

6. **BLACK STANDS FOR PESSIMISM** - **“look on the black side”** = ყველაფრის პესიმისტურად დანახვა; ან ყველაფრისადმი პესიმისტური დამოკიდებულების ქონა; **“not as black as one is painted”** = არც ისეთი ცუდია, როგორც ამბობენ; **“a black patch”** = ვინმეს ცხოვრებაში რთული პერიოდი; **“to look black”** = ყველაფერში მხოლოდ ცუდის დანახვა.

7. **BLACK IS EVIL** - “black art/black magic” = შავი ჯადო/შავი მაგია; “black day” = შავი დღე, როცა რაღაც ცუდი ან უბედურება ხდება; “the Black Death” = შავი ჭირი; ქოლერის ეპიდემია, მე-14 სკ-ში; “black spot” = საშიში ადგილი გზაზე, სადაც უბედური შემთხვევები (ავარიები) ხდება; ადგილი ან ტერიტორია, სადაც უსიამოვნო, არასასურველი რაღაცეები ხდება, რომლის გამოსწორებაც ვერ ხერხდება.

#### 8. **BLACK STANDS FOR PROSPERITY (The part for the whole metonymy)**

“climb (get, go) into the black” = დაიწყო სარგებლის მიღება; მოგებაზე წასვლა; “in the black” = გკონდეს გადახდის უნარი; იყო წარმატებული ან მომგებიანი.

მოცემული კონცეპტუალური მეტონიმია წარმოიქმნა RED STANDS FOR LACK OF MONEY კონცეპტუალური მეტონიმის საპირისპიროდ იმ ისტორიულ-სოციალური ფაქტის სახალხო აღქმის შედეგად, რომელმაც განაპირობა ზემოთ მოყვანილი იდიომატური გამოთქმების მეტაფორიზებული მნიშვნელობის ჩამოყალიბება. კერძოდ, მე-18 -19 საუკუნეებში მიღებული იყო მაღაზიის კლიენტების ნისიად წაღებული საქონლის ვალების ჩაწერა წითელი მელნით; ხოლო შავი მელნით, შესაბამისად, აღნიშნავდნენ იმ კლიენტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ან უკვე დაფარეს ვალი.

### 2.5 მწვანე ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები

#### 1. **GREEN IS YOUNG**

კონცეპტუალური მეტაფორა – მწვანე ახალგაზრდაა – გამოხატულებას ჰპოვებს ისეთ ფრაზეოლოგიზმებში, როგორიცაა: “green horn” = გამოუცდელი ახალგაზრდა; “green old age” = მხნე სიბერე; “green wine” = მაჭარი; ღვინო დუღილის პერიოდში;

#### 2. **GREEN STANDS FOR INEXPERIENCED**

“be not as green as cabbage-looking” = არც ისეთი სულელი იყო, როგორადაც შეიძლება ჩავთვალონ; “Do you see any green in my eye?” = “Do you really think I'm that simpleton?” ასეთი გამოუცდელი გგონივარ?; “green hand” = გამოუცდელი რაიმე საქმეში; ახალბედა.

### 3. GREEN STANDS FOR VEGETATION (The part for the whole metonymy)

**“green belt”** = მწვანე სარტყელი; მწვანე ზონა; **“green glue”** = მწვანე საფარი, რომელიც მიწას ამაგრებს /კრავს; **“greenroader”** = მძღოლი, რომელსაც უასფალტო გზაზე უყვარს მანქანის ტარება; **“green thumb / green fingers”** = მცენარეების გახარების და მოვლის ნიჭი და უნარი; **“green goods”** = (ამერ.) საქონელი და სერვისი, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და რეზერვაციას.

### 4. GREEN STANDS FOR ENVY

მცენარეულისგან განსხვავებით, რომლის კონტექსტშიც მწვანეს ყოველთვის დადებითი კონოტაცია აქვს, ადამიანთან მიმართებაში ეს ფერი უკვე უარყოფითი მნიშვნელობით გამოიყენება, რაც თვალსაჩინო ხდება ისეთ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, როგორცაა **“green with envy”** = შურისგან გადამწვანებული; **“go green with envy”** = შურისგან

### 5. GREEN STANDS FOR MONEY (US DOLLARS)

**“the long greens”** (Amer. Sl.) = დოლარი, ფული; **“green goods”** (Am.sl.) = ყალბი ფული; ყალბი დოლარები; **“greenmail”** = არის blackmail-ის ანალოგიით შექმნილი იდიომატური გამოთქმა – რომელის მნიშვნელობა არის *გამოძალვის ფორმა, როდესაც კომპანია იძულებულია გაბერილ ფასად გამოისყიდოს კომპანიის სხვა მფლობელის წილი პრიორიტეტის შესანარჩუნებლად.*

### 6. GREEN STANDS FOR SAFETY / LACK OF DANGER

**“green light”** = მოძრაობის მარეგულირებელ შუქნიშანში მწვანე ყველგან გზის მიცემაზე მიანშნებს; უფლება გაიაროს, რადგან გავლა საშიშროებას არ შეიცავს; **“green light”** (Am. coll.) რაიმის გაკეთების ოფიციალური უფლება; **“give/get a green light”** = თანხმობის მიცემა / მოპოვება რაიმის გაკეთებაზე.

## 2.6 ყვითელ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები

### 1. YELLOW STANDS FOR WARNING

ყველაზე თვალსაჩინოა ყვითელი ფერის, როგორც გამაფრთხილებელი ნიშნის მნიშვნელობა. ის გამოიყენება საგზაო ნიშნებში, სამხედრო სიგნალებსა და ფეხბურთში. **“yellow alert”** = საჰაერო განგაშის ნიშანი; **“yellow flag”** = კარანტინის დროშა; კარანტინის ნიშანი; **“yellow card”** = ყვითელი ბარათი, რომელსაც მსაჯები გამოიყენებენ შეჯიბრების დროს მოთამაშის გასაფრთხილებლად დისციპლინარული შეცდომის დაშვების გამო.

### 2. YELLOW STANDS FOR COWARDICE

ანგლოფონურ კულტურაში ყვითელი ფერი სიმბდალის სიმბოლოა, რაც ასოცირდება ჩიტებთან, როგორც ფრთხალი არსებების, სახალხო აღქმასთან. ამ მოდელს ეფუძნება შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: **“yellow bellied”** = მხდალი; მშიშარა; **“yellow dog”** = მხდალი და ფლიდი. (*“all politicians are yellow dogs that can't be trusted.”*)<sup>10</sup> ორივე ეს ფრაზეოლოგიზმი მხოლოდ სასუბრო ენაში გამოიყენება. **“yellow streak”** = სიმხდალისკენ მიდრეკილება; სიმხდალე, როგორც ადამიანური თვისება.

### 3. YELLOW STANDS FOR SICKNESS

ყვითელი ასევე გამოხატავს ავადმყოფობას, რაც შეიძლება უნივერსალურ კონცეპტუალურ მეტაფორად განვიხილოთ. ამ მნიშვნელობით გვხვდება ფრაზეოლოგიზმები:

**“Yellow Fever/Yellow plague”**, = ვირუსი ყვითელი ციება; ყვითელი ჭირი – რომლისგანაც ათასობით ადამიანი იღუპება აფრიკის, აზიის და სსამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ქვეყნებში. **“yellow as a quince”** = კომშივით ყვითელი ავადმყოფობისგან; სიყვითლე; **“code yellow”** (სლ.) = უნებლიე მოშარდვა; ჩაფსმა. **“yellow flu”** = გრიპის მიზეზით სკოლის მოსწავლეების ორგანიზებული “შატალო”.

### 4. YELLOW STANDS FOR GUTTER PRESS

**“the yellow press /yellow pages/yellow magazines”** = სენსაციების, სექსთან დაკავშირებული პირადი ცხოვრების და კრიმინალური ამბების ამსახველი ყვითელი პრესა.

<sup>10</sup> <https://idioms.thefreedictionary.com/yellow>

## 2.7 რუხ ფერთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული მოდელები

### 1. GREY IS VAGUENESS

ეს კონცეპტუალური მეტაფორა გაჩნდა რუხი ფერის ფიზიოლოგიური აღქმის შედეგად: რაღაც საშუალო შავსა და თეთრს შორის, იგი უფრო ჩრდილია ვიდრე ფერი. ამ კონცეპტუალურ სქემას ეფუძნება იდიომატური გამოთქმები: **“a grey area”** = რაიმე ბუნდოვანი, დაუზუსტებელი და გაურკვეველი გაურკვეველი; **“all cats are grey in the dark”** = სიბნელეში საგნების გარჩევა შეუძლებელია; სიბნელეში მახინჯიც ლამაზია.

### 2. GREY STANDS FOR SHADED OBJECTS

რუხი ფერის მსგავსი თვისება ასევე აისახება კონცეპტუალურ მეტაფორაში – რუხი დაჩრდილული / ჩრდილში მყოფი ობიექტების ნიშანია. ეს კონცეპტუალური მეტაფორა გამოხატულებას ჰპოვებს იდიომატურ მეტონიმებში: **“grey market”** = ჩრდილოვანი ბაზარი; ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მანამ, სანამ მათი ფასი ოფიციალურად გამოცხადდება ბირჟაზე; **“grey eminence”** = რუხი კარდინალი, ანუ სიტუაციის არაოფიციალური გამკონტროლებელი.

### 3. GREY STANDS FOR OLD AGE (The part for the whole metonymy)

მოცემულ მეტაფორაში რუხი ფერი სიბერის აღმნიშვნელ კონცეპტად გვევლინება, რასაც განაპირობებს ჭაღარა თმის გაიგივება სიბერესთან. კოგნიტური მეტაფორის ეს მოდელი რეალიზდება ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში: **“grey-beard /grey-headed”** = მოხუცი; ხანდაზმული; **“grow grey in the service of sth”** = გაჭაღარავდე რაიმის ან ვინმეს სამსახურში; **“to turn grey”** = დაბერება; გაჭაღარავება; **“the grey power”** = ხანდაზმულობის უფლებები.

### 4. GREY STANDS FOR BRAIN / THOUGHTFULNESS

რუხი ფერი ანუ ნაცრისფერი ანგლოფონურ კულტურაში ასევე გვევლინება ადამიანის ტვინის და გონიერების მეტაფორულ კონცეპტად, რაც გამოხატულებას ჰპოვებს ფრაზეოლოგიზმებში – **“gray matter / grey cells”**. არსებობს ასევე იდიომა **“gray page”**, რომელიც ტექსტით გადავსებული გვერდის მეტონიმიურ იდენტიფიკატორად გვევლინება.

### 5. GREY STANDS FOR MOURNING / REPENTANCE IN CHRISTIAN RELIGION

და ბოლოს, როგორც ფერფლის ან მტვრის ფერი, რუხი ასოცირდება სიკვდილ-თან, გლოვასთან და მონანიებასთან. ეკლესიის დაბალი რანგის მსახურები და ბერები რუხი ფერის ჯვალს უბრალო ჩამოსაცმელს ატარებენ მარხვის და სპეციალური ლოცვების დროს გლოვის ნიშნად.<sup>11</sup>

### § 3. კონცეპტის "ფერი" შემცველი კოგნტური მეტაფორები და ფრაზეოლოგიური ერთეულები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ენაში მხოლოდ სხვადასხვა ფერთა აღნიშვნები არ არის მეტაფორულად ვერბალიზებული. თავად *ფერის (colour)* ზოგადი ცნება აისახება რამდენიმე კოგნტურ მეტაფორულ სქემაში, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვებს ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, რომელთა მნიშვნელობაც ყალიბდება ლექსემის – "ფერი" – ბაზაზე.

#### 1. COLOUR STANDS FOR STATE OF HEALTH

ადამიანის სახის ფერი უძველესი დროიდან აღიქმება ყველა ენაში ჯანმრთელობის მდგომარეობის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად. ეს კონცეპტუალური მეტაფორა რეალიზდება ისეთი ფრაზეოლოგიებით, როგორცაა: **"to feel off colour"** = *ფერდა-კარგული ყოფნა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო*; **"gain colour"** = *ფერზე მოსვლა; გამოჯანსაღება*; **"lose colour"** = *გაფითრება*;

#### 2. COLOUR IS VIVIDNESS

ფერი, როგორც დამაჯერებლობის და სიცხადის ნიშანი, ეფუძნება მის აღქმას სინათლის სიმბოლოდ. მოცემულ კოგნტურ მეტაფორულ მოდელს ეფუძნება იდი-ომატური გამოთქმები: **"to give (lend) colour to"** = *სიცხადის, დამაჯერებლობის შეტანა*;<sup>12</sup>(მაგ.: *"He splashed mud all over his car to lend color to his story about being in the mountains all weekend"*); **"to have one's views coloured by"** = *სხვისი ან რაიმის გავლენით აზრის შეცვლა*; **"highly coloured report"** = *გაზვიადებული რაპორტი/ გაზვიადებული მოხსენებითი ბარათი*; **"local colour"** = *რაიმე ადგილის ან პერიოდის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ერთობლიობა; ადგილობრივი კოლორიტი* (მაგალითად, *"There are*

<sup>11</sup> <https://en.wikipedia.org/wiki/Grey>

<sup>12</sup> <https://idioms.thefreedictionary.com/lend+color+to>

*many corners of America that are bright with local color.*<sup>13</sup>); “to paint in bright colours” = რაიმე ამბის ლამაზ ფერებში დახატვა.

### 3. COLOURS STAND FOR INTENTIONS

“to sail under false colours” = შენიღბული მოქმედება; ნამდვილი ზრახვების დამალვა. ეს იდიომატური გამოთქმა ეტიმოლოგიურად შეიქმნა სხვა სახელმწიფოს დროშის ქვეშ მოცურავე გემის ხატის მეტაფორიზაციის შედეგად;<sup>14</sup> Ant. “show one's true colors” = ნამდვილი ზრახვების გამჟღავნება; “to nail one's colours to the mast” = აშკარა გახადო მტკიცე გადაწყვეტილება საკუთარი პოზიციის ბოლომდე დასაცავად.

### 4. COLOUR STANDS FOR CHARACTER

ანგლოფონურ კულტურაში ფერის კონცეპტთან არის ასოცირებული ადამიანის პიროვნული ნიშან-თვისებები, მისი ინდივიდუალიზმი. ამ კოგნიტური მეტაფორის გამოხატულებაა გამოთქმები: “colourless / without colour” = ინდივიდუალურობას მოკლებული; უინტერესო; უდიდამო; *come out in one's true colours / show one's true colours* = ნამდვილი სახის/პიროვნული თვისებების გამოჩენა/გამჟღავნება.

## § 4. ფერთაღნიშვნის შემცველი ფრაზეოლოგიზმების უნივერსალური და ანგლოფონური კულტურით განპირობებული თავისებურებები

მიეხედავად იმისა, რომ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მიზნად არ ისახავდა ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულთან შეპირისპირებას, ჩვენ ვერ შევძელით ამ ასპექტის გვერდის ავლა, რადგან ცნობიერებაში მაშინვე ჩნდებოდა მათი ექვივალენტური გამოთქმები მშობლიურ ენაზე. ამან კი შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა რამოდენიმე განზოგადება ფერთაღნიშვნების შემცველი ინგლისურ-ენოვანი ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის უნივერსალურ და ანგლოფონური კულტურით განპირობებულ თავისებურებებთან დაკავშირებით.

ზოგადად ფერის და სხვადასხვა ფერების გამოყენება სამყაროს შემეცნების პროცესში უნივერსალურ თვისებას წარმოადგენს, რაც, ალბათ აიხსნება მათი

<sup>13</sup> <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/local-color>

<sup>14</sup> <https://idioms.thefreedictionary.com/sail+under+false+colours>

მგრძნობელობითი – კერძოდ, ვიზუალური ეფექტით ადამიანის ცნობიერებასა და მის ფიზიოლოგიაზე. ის ფაქტი, რომ ძირითადი ფერების შვიდეული საყოველთაოდ ასოცირდება სინათლესა და სიბნელესთან ანუ სინათლის არსებობა-არარსებობასთან (შავი და თეთრი), მათ შორის გარდამავალ ბინდთან (რუხი/ნაცრისფერი), სისხლსა და ცეცხლთან (წითელი), მზესთან (ყვითელი), ცასთან (ლურჯი) და მცენარეუ-ლობასთან (მწვანე) იძლევა შესაძლებლობას, ჩვენს მიერ გაანალიზებულ ფერთ-აღნიშვნების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გამოვყოთ მათი სამი ძირითადი ტიპი უნივერსალურობისა და უნიკალურობის ხარისხის მიხედვით. ესენია:

ა) უნივერსალური ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც იდენტურია სხვადასხვა ენებში კონცეპტუალური შინაარსის და ლექსიკური შედგენილობის მიხედვით. მაგალითად, თუ შევხედვით ან გაუხერხულდით, ორივე ენაში მოიპოვება ამ ემოციური მდგომარეობის მეტაფორულად გამოხატველი იდიომატური გამოთქმა – “Turn as red as beet” (*ჭარხალივით გაწითლება*); თუ ვინმეს მოსწონს და მხარს გიჭერთ იმაში, რის გაკეთებასაც აპირებთ – “They give you the green light” (*მწვანე შუქის მიცემა*); მსგავსი იდენტური ანუ უნივერსალური ფრაზეოლოგიზმებია: “green belt” (*მწვანე სარტყელი*); “to turn grey” (*გაჭაღარავება, დაბერება*); “grow grey in the service of sth” (*გაჭაღარავდე რაიმის ან ვინმეს სამსახურში*); “black hole ≠ white hole” (*შავი ხვრელი ≠ თეთრი ხვრელი*); “black market” (*შავი ბაზარი*); “black day” (*შავი დღე*) *როცა რაღაც ცუდი ან უბედურება ხდება*; *black magic* (*შავი ჯადო/შავი მაგია*); “green with envy / go green with envy” (*შურისგან გადამწვანებული / შურისგან გადამწვანება*); “the yellow press” (*სენსაციების მოყვარული ყვითელი პრესა*); “off colour” = (*ფერდაკარგული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო*); “gain colour” (*ფერზე მოსვლა*); *გამოჯანსაღება*; *lose colour* (*ფერის დაკარგვა; გაფითრება*), “to paint in bright colours” (*რაიმე ამბის ლამაზ ფერებში დახატვა*) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერი არა მხოლოდ უნივერსალურ სიმბოლოდ, არამედ უნივერსალურ ნიშნადაც იქცევა ისეთ მეტონიმიურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში, როგორცაა – red light, green light, yellow light, red alert, yellow flag, yellow card, white flag, black box, etc. *წითელი შუქი, მწვანე შუქი, ყვითელი შუქი, წითელი განგაში (საბრძოლო*

მზადყოფნა), ყვითელი დროშა (კარანტინის ნიშანი), ყვითელი ბარათი, თეთრი დროშა (დანებების ნიშანი), შავი ყუთი და სხვ.

ბ) ნახევრად უნივერსალური ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებსაც იდენტური კონცეპტუალური სქემა, მაგრამ განსხვავებული ლექსიკური გაფორმება აქვთ (ასეთი ფრაზეოლოგიზმებია: შავი ჭირი (“The black Death”), რომლებიც ქოლერის ეპიდემიის მაიდენტიფიცირებელი მეტონიმიური ფრაზაა; რაიმე მოულოდნელის აღსანიშნავად, ორივე ენაში გამოიყენება ნახევრად იდენტური ფრაზა “a bolt from the blue” / “a thunder bolt from a blue sky” (მოწმენდილ ცაზე დაქუხებასავით / მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით); “green glue” (მწვანე საფარი, რომელიც მიწას ამავრებს /კრავს); “between the devil and the deep blue sea” (ორ ცეცხლს შუა); “to roll out the red carpet“ ( ფიანდაზათ დაეფინო ვინმეს) და სხვა.

და პირიქით, გამოთქმები, რომლებსაც იდენტური ფორმა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, იდიომები “to be in one's black books” და ვინმეს შავ სიაში ყოფნა იდენტურია ფორმით, მაგრამ განსხვავებულია შინაარსით. ანგლოფონურ კულტურაში ეს გამოთქმა ნიშნავს ვინმეს შავ სიაში ყოფნას მისი კეთილგანწყობის დაკარგვის ან გაღიზიანების გამო.<sup>15</sup> ქართულ ენაში იგივე ფრაზეოლოგიური გამოთქმა რამდენიმე მნიშვნელობას ანვითარებს კონტექსტიდან გამომდინარე, რომლებიც არ შეესაბამება მის ინგლისურ ვარიანტს. ვინმეს შავ სიაში ყოფნა შეიძლება ნიშნავდეს „სამსახურიდან გათავისუფლების, კომპანიიდან გაგდების კანდიდატად ყოფნას“, "არასაიმედო პირთა სიაში ყოფნას", "ზანკის მევალეთა სიაში ყოფნას." ოფიციალურ ენაში „შავი სია“ არის იმ პირთა სია, რომელთაც აკრძალული აქვთ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლა.

გ) უნიკალური ფრაზეოლოგიზმები, რომელთა არსებობაც განპირობებულია ანგლოფონური კულტურით და ფსიქოლოგიური თავისებურებებით. ასეთი იდიომატური გამოთქმაა, მაგალითად, “climb (get, go) into the black” = დაიწყო სარგებლის მიღება; მოგებაზე წასვლა; “in the black” = ნიშნავს გქონდეს გადახდის უნარი; იყო წარმატებული ან მომგებიანი. მოცემული იდიომატური გამოთქმა წარმოიქმნა RED

<sup>15</sup> [https://idioms.thefreedictionary.com/in+\(someone%27s\)+black+books](https://idioms.thefreedictionary.com/in+(someone%27s)+black+books)  
<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/in-someones-black-books>

STANDS FOR LACK OF MONEY კონცეპტუალური მეტონიმის საპირისპიროდ იმ ისტორიულ-სოციალური ფაქტის სახალხო აღქმის შედეგად, რომელმაც განაპირობა ზემოთ მოყვანილი იდიომატური გამთქმების მეტაფორიზებული მნიშვნელობის ჩამოყალიბება. მე-18-19 საუკუნეებში მიღებული იყო მაღაზიის კლიენტების ნისიად წადებული საქონლის ვალების ჩაწერა წითელი მეღვინით; ხოლო შავი მეღვინით, შესაბამისად, აღნიშნავდნენ იმ კლიენტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ან უკვე დაფარეს ვალი. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებია: “black sheep of the family” (ოჯახის შემარცხვენი); “blackmail / greenmail” (დამანტაჟება) “to show the white feather” (სიმბდალის გამოჩენა); “to feel blue” (სევდიანი ყოფნა); “to cry the blues” (მელანქოლიაში, დეპრესიაში ყოფნა); “baby-blue” მშობიარობის შემდგომი დეპრესია; make the air blue (ჰაერის დაბინძურება ლანძღვა-გინებით); “bleed red ink” (მწვავე ფინანსური პრობლემების ქონა); “not a red cent” (არ აიღო მცირე ვალიც კი, რომც საჭირო იყოს მისი აღება); “into the red” / “out of the red” (ვალში ჩავარდნა / ვალის გადახდა); “yellow belly” (მხდალი); “the grey power” (ხანდაზმულობის უფლებები); “gray matter/grey cells” (ტვინი); “green horn” (გამოუცდელი ახალგაზრდა); “green old age” (მხნე სიბერე); “green wine” (მაჭარი; ღვინო დუღილის პერიოდში) და ბევრი სხვა.

## დასკვნა

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. ფერთა აღნიშვნის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიით კვლევამ წარმოაჩინა, რომ ფერი სამყაროს და თავად ადამიანის საკუთარი ემოციებისა და ფსიქო-ფიზიოლოგიური შეგრძნებების შეცნობისა

და სიტყვიერად გამოხატვის ერთერთი უნივერსალური საშუალებაა რაც, ალბათ აიხსნება მათი მგრძნობელობითი ეფექტით ადამიანის ცნობიერებაზე. სა-კვლევო ფერების განსზღვრისას ჩვენთვის ამოსავალი იყო კოგნიტივისტების ბერ-ლინისა და კეის, ვაჟბიცკას, კოვეჩემის და ჟაბოს მიერ დადგენილი შვიდი ძირითადი ფერი, რომლებიც ასოცირდება ისეთ აბსოლუტურ უნიკუმებთან, როგორცაა სი-ნათლე და სიბნელე ანუ სინათლის არსებობა-არარსებობა შავი და თეთრი აქრომა-ტული ფერებისთვის, ბინდი – რუხი და ნაცრისფერისთვის, სისხლი და ცეცხლი – წითელისთვის, მზეს – ყვითელისთვის, ცა და წყალი – ლურჯისთვის და მცენარეულობა – მწვანე ფერისთვის.

2. ცალკეულ ფერთა აღნიშვნების კონცეპტუალური სიმბოლიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფერი მათი შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეტაფორიზებული მნიშვნელობის წარმოქმნის საფუძველი და ძირითადი კომპონენტია. ძირითადი ფერების კონცეპტები ემყარება გარკვეულ უნივერსალურ პროტოტიპებს, რომლებიც ფუძემდებლურ როლს ასრულებენ ადამიანის გამოცდილებაში. ეს პროტოტიპები უნდა განვიხილოთ როგორც რეფერენციის წერტილები – ანუ ის, რაზეც მოცემული ფერი დაგვაფიქრებს და რასთანაც ის ასოცირდება. სწორედ ამ პროტოტიპებზე დაყრდნობით ანვითარებს ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში შემავალი ფერების დასახელებათა უმრავლესობა თავის გადატანით, მეტაფორულ მნიშვნელობას. შესაბამისად, ეს სიმბოლური მნიშვნელობებია: შავისთვის – სიბნელე, ჭუჭყი, ბოროტება და მრისხანება; თეთრისთვის – სინათლე, თოვ-ლი, სისუფთავე, სისპეტაკე და უმანკობა; ლურჯისთვის – წყალი, ზეცა, მიუწვ-დომელობა, სევდა, მელანქოლია, დეპრესია; მწვანისთვის – სინორჩე, ახალგაზრდო-ბა, გამოუცდელობა; რუხისთვის – ბუნდოვანება, ბინდი, არამკაფიოობა, ჩრდილი; red – სისხლი, საფრთხე, ცეცხლი, მგზნებარება, სიმხურვალე. კვლევამ უჩვენა, რომ ფრაზეოლოგიაში განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი ქრომატული, ანუ ფერადი ფერები, რომლებიც ადამიანის ფსიქო-ემოციური თუ ფიზიოლოგიური შეგრძნებებისა და გარემომცველი სამყაროს რეალიებისა და სოციალური ფაქტების ასოციაციურ-მეტაფორული აღქმის საშუალებად გვევლინებიან.

3. ემპირიული მასალის ანალიზმა გამოავლინა ფერთაღნიშვნის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობების ფორმირების ძირითადი კონცეპტუალური მეტაფორული სქემები, რომლებიც დაგვეხმარა იმ კოგნიტური პროცესების მოდელირებასა და განსაზღვრაში, რომლებიც ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნას განაპირობებს. თავად კონცეპტუალური მეტაფორის სქემა კი ეფუძნება წყარო და სამიზნე ცნებების იმ საერთო, ყველასთვის გასაგებ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ღრმად არის გამჯდარი ენის მატარებელთა ცნობიერებაში. სწორედ ანგლოფონურ აღქმაში არსებობს კოგნიტური მეტაფორის ის კონცეპტუალური მოდელები, რომლებიც გამოხატულებას ჰპოვენ მრავალრიცხოვან ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში.

4. ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში ფერთაღნიშვნების შემცველი ფრაზეოლოგიზმების კონცეპტუალური მეტაფორული სქემების გამოვლენა და განზოგადება განვახორციელეთ, ერთი მხრივ, ამერიკელი კოგნიტივისტების მიერ შემუშავებული კოგნიტური მეტაფორების კონცეპტუალური სქემების პრინციპების გამოყენებით; მეორე მხრივ კი – ჩვენთვის ამოსავალი იყო ფერთა ის კონცეპტუალური სიმბოლური მნიშვნელობები და ეტიმოლოგიური წარმომავლობა, რომლებიც ჩვენ წარმოვაჩინეთ მათი სალექსიკონო დეფინიციური ტექსტების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე.

5. ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობის ადეკვატური აღქმა-განმარტება კომუნიკანტებისგან მოითხოვს როგორც უნივერსალური, ასევე ისტორიულ-კულტურული ფაქტების ცოდნას, რამდენადაც იდიომატური ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობა ეფუძნება მეტაფორას, რომლის ეტიმოლოგიური წყაროა მათი პირდაპირი მნიშვნელობით შექმნილი რეალობის სტერეო-ტიპური ხატი. მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, და ჩვენი კვლევიტაც დადასტურდა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულების გამომხატველობითი პოტენციალი სწორედ მათში ერთდროულად რეალიზებული ორი ხატის ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი მნიშვნელობით არის განპირობებული.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **Arseteva, E. (ed) (2014).** *Phraseology in Multilingual Society*. UK: CUP.  
<http://www.e-bookdownload.net/search/phraseology-in-multilingual-society>
2. **Berlin B. & Kay P. (1969).** *Basic colour terms: their universality and evolution*. Berkeley: University of California Press. - 207 p.  
[http://imbs.uci.edu/~kjameson/ECST/Hardin\\_BerlinKayTheory.pdf](http://imbs.uci.edu/~kjameson/ECST/Hardin_BerlinKayTheory.pdf)
3. **Cowie A. P. (1998).** *Phraseology: Theory, Analysis and Applications*. Oxford: OUP.

<https://www.questia.com/library/98886564/phraseology-theory-analysis-and-applications>

4. Davitishvili N. (2017). *On the Linguo-cultural Essence of English Phraseology*. // Journal of Teaching and Education, vol. 6(2), pp. 239-250, 2017, USA.
5. Eco, U. (1991). *How colours conditions colours we use* // On signs / Ed. by M Blonsky Bloomington The John Hopkins Univ. Press, pp. 157-175.  
<http://www.e-bookdownload.net/search/phraseology-in-multilingual-society>
6. Kovecses Z & Szabo P. (1996). *Idioms: a view from cognitive semantics* // Applied Linguistics., Vol. 17/3 September, pp. 327-355. [https://www.researchgate.net/publication/308780565\\_Idioms\\_A\\_View\\_from\\_Cognitive\\_Semantics](https://www.researchgate.net/publication/308780565_Idioms_A_View_from_Cognitive_Semantics)
7. Lakoff G. & Johnson M. (1980). *Metaphors we live by*. London: The university of Chicago Press.
8. MacCormac Earl R. (1999). *A cognitive theory of metaphor*. Cambridge: Cambridge MIT Press, - 390 p. <https://philpapers.org/rec/MACACT-6>
9. MacLaury, R. E. (1997). *Colour and cognition in Mesoamerica. Constructing categories as vantages*. Austin: Texas University. [https://www.academia.edu/-28690338/Color\\_and\\_Cognition\\_in\\_MesoamericaConstructing\\_Categories\\_as\\_Vantages](https://www.academia.edu/-28690338/Color_and_Cognition_in_MesoamericaConstructing_Categories_as_Vantages)
10. Smith, L.P. (1925). *Words and Idioms: Studies in the English Language*. New York
11. Wierzbicka A. (1990). *The meaning of colour terms: Semantics, culture, and cognition* //Cognitive linguistics, Vol. 1(1), pp. 99-149. <https://philpapers.org/pub/3413/1990>
12. Арутюнова Н.Д. (1990). *Дискурс и метафора // Теория метафоры*. Москва: Прогресс, сс. 5 - 32.
13. Виноградов В.В. (1977). *Основные понятия русской фразеологии как лингвистической дисциплины*. Лексикология и лексикография, Москва: Наука.
14. Квеселевичб Д. И. (1983). *Интеграция словосочетания в современном английском языке*, Киев: Высшая школа.
15. Кунин А. В. (1980). *Вопросы фразеологии английского языка*, Москва: Высшая школа.

16. **Кунин А.В. (1986).** *Курс фразеологии современного английского языка.* - М.: Высшая школа, 1986. -230 с.
17. **Телия, Вероника Н. 1994.** *Метафоризация и ее роль в создании языковой картины мира. //Роль человеческого фактора в языке.*  
[http://genhis.philol.msu.ru/article\\_66.shtml](http://genhis.philol.msu.ru/article_66.shtml)

### ნაშრომში გამოყენებული ლექსიკონები:

1. **A Practical Guide to Colloquial Idioms. (1974).** Ed.: W.J. Ball. - Longman, -243 p.  
<https://archive.org/details/practicalguideto00ball>
2. **Collins Dictionary of Idioms.** London: Harper Collins Publishers Ltd., 1997. - 501 p.  
<https://www.collinsdictionary.com/>
3. **Hornby A.S.** Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English. Oxford, 1982.  
<https://www.abebooks.com/book-search/title/oxford-dictionary-english->
4. **Idioms Online: Your Free English Idioms Dictionary** <https://www idioms online/>.
5. **McGraw-Hill Dictionary of American Idioms and Phrasal Verbs.** 2002 by The McGraw-Hill Companies, Inc. <https://idioms.thefreedictionary.com>
6. **Oxford Dictionary of English Idioms (1883)** Ed.: A.P. Cowie, R Mackin & I.R. McCaig. Oxford University Press, <https://www.abebooks.com/book-search/title/oxford-dictionary-english-idioms/author/cowie-mccaig-mackin/>
7. **Англо-русский фразеологический словарь (составитель А.В. Кунин).** М.: Советская энциклопедия, 1967. <https://alleng.org/d/engl/engl196.htm>
8. **Историко-этимологический словарь современного английского языка. (2000).** (состав. М. Маковский). М.: Культура, <https://wt-blog.net/anglijskij-jazyk/uchebnyki-i-posobija/etimologicheskij-slovar-anglijskogo-jazyka.html>